# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი პარასკევი 30 აპრილი 2004 №96 (2115) ფასი 50 თეთრი

## წაღმა თამაში უკუღმა: შამათი საქართველოს?



### რამდენს არა აქვს შიში, ქვეყანას უთხრას ქიში



ამ ბოლო დროს ჩვენს პრესასა და ტელევიზიაში დიდი საჭადრაკო აურზაურია. სერიოზული ხალხი სერიოზულად ამტკიცებს, რომ თუ საქართველოში, კონკრეტულად ბათუმში, მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი არ გაიმართება — ა) შეილახება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი, ბ) გაგვრიცხავენ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციიდან და ზურგს შეგვაქცევენ სხვა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები, გ) არ აგვცდება სოლიდური ფინანსური ჯარიმა და ა.შ.

არანაკლებ სერიოზული ხალხი სერიოზულად ამტკიცებს, რომ თუ ჩემპიონატი ჩაიშალა — ა) შეილახება არა საქართველოს, არამედ, პირველ ყოვლისა, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის აქამდეც არაერთხელ შელახული იმიჯი, მათ შორის — სხვა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების თვალშიც, ბ) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას ვერავინ გარიცხავს ფიდე-დან, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 15 აპრილს ბათუმში გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩვენი ფედერაციის ვალდებულებებზე არაფერია ნათქვამი, გ) თუ საქმე ფინანსურ სანქციამდე მივა, ჯარიმის გადახდა ხელშეკრულებაზე ხელმომწერ მხარეს, ანუ აჭარის ავტონომიას მოუწევს (ვამბობთ აჭარას, ვგულისხმობთ ასლან აბაშიძეს), თუმცა აჭარის ფულიც ჩვენი ფულია (ჩვენია?!)

პირველ აბზაცში მოტანილი მოსაზრებები მეტწილად ცნობილ ქართველ დიდოსტატს, ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტს ზურაბ აზმაიფარაშვილს ეკუთვნის. მის აზრს ნაწილობრივ ეთანხმება კიდევ რამდენიმე ქართველი მოჭადრაკე და მათ ავტორიტეტს მინდობილი და საქმეში ნაკლებად ჩახედული საზოგადოება, აგრეთვე ჟურნალისტთა ის მცირე ჯგუფი, რომელსაც საქმის არსში გარკვევაზე მეტად ამ საქმის ირგვლივ ხმაური უფრო აინტერესებს.

იხილეთ მეცამეტე გვერდი

## ფინალი მაკაბი—სკიპერი ცრუფინალი ცსკა—სიენა




*ნუხელ თელ ავივში ბევრს არ ეძინა. ალ ქაიდა ან პალესტინელი ტერორისტები შუაში არ არიან და ისრაელის დედაქალაქში, მგონი, არაფერი აფეთქებულა. ებრაელთათვის ჯერ ყველაფერი გადასარევად მიდის, მათმა სიამაყემ, საკალათბურთო „მაკაბიმ“ ევროლიგის ოთხთა ფინალის ნახევარფინალში მოსკოვის ცსკა შეუბრალებელ კვეთებაში 93:85 დაამარცხა და ფინალს უწია. მეორე ნახევარფინალიც ბრძოლაში გაილია, ორმა იტალიურმა გუნდმა, „სიენამ“ და „სკიპერმა“ ერთმანეთი ოთხი მეოთხედი და კიდევ დამატებითი ხუთწუთეული აწვალეს და ბოლონიის „სკიპერმა“ 103:102 იმარჯვა. ფინალი ხვალ გაიმართება.*

## სიხარულის წლისთავი



### ივო შუშაკის ორი კოსტიუმი და არცერთი სიტყვა დინამოზე



## რაო? CIAO?



*ახლა წასვლის დროა — თქვა გუშინ მარჩელო ლიპიმ და საახალსეზონოდ ტურინის „იუვენტუსს“ ახალი მწვრთნელის მოძებნა მოუწევს. ჭაღარა მაესტროს გადადგომა სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგაში „ბებერი ქალბატონის“ ჩაფლავებამ აფიქრებინა, ოღონდ, დავაზუსტოთ, რომ მწვრთნელი გუნდს ამ სეზონის დასრულების მერე გაეყრება. მერე კი... ამბობენ, ევრო 2004-ის დამთავრებისთანავე ლიპის იტალიის ნაკრების მწვრთნელობას შესთავაზებენ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვალის დაბრუნება

## ისრაელი თბილისში ჩამოვა

**27 მაისი,** საქართველო — ისრაელი. ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული გუნდისთვის ამხანაგური მატჩი გააზერხა: საქართველოს დამოუკიდებლობის დღისა და ყიფიანის სახელობის თასის ფინალის მეორე დღეს ქართველები ებრაელებს უმასპინძლებენ.

ისრაელისა საქართველოს ნაკრებს ამხანაგური მატჩის „ვალი" აქვს. გეხსომებათ, ებრაელები დანიელი მწვრთნელის, რიქარდ-მიოლერ ნილსენის თავკაცობით 2001 წელს თბილისს სტუმრობდნენ და ჩვენებმა მაშინ 3:2 მოიგეს. შეთანხმებისამებრ საქართველოს საპასუხო ამხანაგური თელ ავივში უნდა ეთამაშა, მაგრამ არეული პოლიტიკური ვითარების გამო ებრაელებმა თავად იუარეს თამაში. შემდეგ ამხანაგურ მატჩზე მოლაპარაკებები შეწყდა, ისრაელს ამასობაში მოლდოვა ესტუმრა და 1:1 ითამაშა, იქამდე კი თელ ავივს აზერბაიჯანი სტუმრობდა და 0:6 განადგურდა.

მოკლედ, 27 მაისს თბილისს ისრაელის ნაკრები ესტუმრება. ეროვნული გუნდის მწვრთნელს ალენ ჟირესს კი, რომელიც დღეს თბილისიდან შინ ბრუნდება, ამ ერთ თვეში სამუშაო ბლომად ექნება. ებრაელებთან მატჩის მერე მეორე თამაში აგვისტოშია — კიშინიოვში, მოლდოვასთან. სექტემბერში კი უკვე შესარჩევი ეტაპი იწყება. ჟირესს სწორედ ამ ორ მატჩში მოუწევს უნახავ ფეხბურთელთა ნახვა, მათი შესაძლებლობების შეფასება და 4 სექტემბრისთვის ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევა.

შეგახსენებთ, აქამდე საქართველო — ისრაელს სამჯერ უთამაშიათ ამხანაგურად: თბილისური 3:2-ის გარდა ალთქმულ მიწაზე 1994 წელს 0:2 წავაგეთ, ოთხი წლის წინ კი 1:1 იყო.

**ბოზა ინასარიძე**

### ინგლისი

**კონფერენსლიგა**
**პლეი ოფი. პირველი მატჩები**

ალდერშოტი 1:1 ჰერეფორდი
ბარნეტი 2:1 შრიუსბერი

### ჰოლანდია

**II დივიზიონი. XXXIV ტური**

გრააფსხაპი 1:1 კამბური
ემენი 0:2 ვენლო
დორდრეხტი 2:1 აპელდორნი
სიტარდი 0:3 ჰერაკლესი
იგლსი 3:1 ტელსტარი
ჰაარლემი 2:2 ეინდჰოვენი
მაასტრიხტი 0:0 ვეენდამი
სპარტა 3:2 ექსელსიორი

### შვედეთი

**სუპერეტა. V ტური**

ნორჩიოპინგი 0:0 ენკიოპინგი

**დღეს არის** ქართული ფეხბურთის იშვიათად სასიხარულო თარიღი; ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა ნაკრებმა მალხაზ ასათიანის გოლით დაამარცხა რუსთა ნაკრები. ნაწვალებ, შუქჩამქრალ, გადადებულ, გადმოდებულ, საამაყო და იშვიათად სასიხარულო თამაშში.

რაც საქართველოს ფეხბურთი დამოუკიდებელი შეიქნა, მას ასეთი სასიხარულო დღე არ ჰქონია. ვაკის სტადიონის ტრიბუნები სავსე ვერ იყო — უეფას შეზღუდვა მოქმედებდა, მაგრამ არც ასეთი მატჩისშემდგომი ზეიმი ყოფილა დამოუკიდებელ საქართველოში. არც ამდენი დროშა ყოფილა და არც ამდენი გოგო და ბიჭი ქუჩაში.

ეს იყო საქართველოს ნაკრების საუკეთესო თამაში, რაც ის არსებობს. ყველაზე მეტად ხალხს ეს თამაში გაეხარდა და ეგებ სხვამ სხვა ჩათვალოს საუკეთესოდ. ამ თამაშში გამოხვეული იყო პოლიტიკაც რუსეთთან ჭიდილის და მათგან ჩვენი სოფლების ბომბვის სახით და გარეული იყო დროშაც: მაშინ ნაციონალური მოძრაობის, ახლა კი საქართველოს დროშას მონდომებით გლეჯდნენ ტრიბუნიდან მთავრობის კაცები.

საქართველომ კი მოიგო.

ბევრი ქართველი ფეხბურთელისთვის ეს გამოდგა ყველაზე კარგი სანაკრებო თამაში.

ეს თამაში საუკეთესო იყო ივო შუშაკისთვის. რაც საქართველოში იმუშავა, შუშაკს სწორედ ეს საფეხბურთო ომი ექნებოდა ყველაზე დასამახსოვრებელ და ფასიან ამბად. სახალხო გმირადაც შუშაკი სწორედ იმ საღამოს შეიქნა. მან მხოლოდ ორი მატჩით უხელმძღვანელა ნაკრებს. პირველი ეს იყო და შუშაკმა იცოდა საქართველოსთვის ამ თამაშის მნიშვნელობა. მან მშვენივრად იცოდა ყველაფერი. ივო შუშაკი ორი დღის წინ მოხსნეს „დინამოს" მწვრთნელობიდან და თან ისე, რომ ერთი საშუალო მადლობაც არ მიუღია. „დინამოსი" რა გითხრათ, მას ქართველებისგან ეკუთვნის მადლობა იმიტომ რომ ის 30 აპრილი შექმნა — უბრალოდ, გასაგებად და სასიხარულოდ, იმ ფეხბურთელებთან ერთად, რომელთაგან ბევრისთვისაც რუსებთან თამაში საუკეთესო გამოდგა კარიერაში.

დღეს ამ თამაშის გახსენებას პოლიტიკური ნალექი ნაკლებად დასდევს. ამით კი გაირკვა, რომ ეს უბრალოდ კარგი ფეხბურთი იყო. ბიჭებმა კარგად ითამაშეს ფეხბურთი და მოუგეს იმათ, ვის დამარცხებასაც მთელი ქვეყანა სთხოვდა.



ბადრი ქართველიშვილის ფოტო

# სიხარულის წლისთავი



ბადრი ქართველიშვილის ფოტო

**ზუსტად** ერთი წლის წინ ივო შუშაკი აცრემლებული და ბედნიერი სახით ამაყად დააბიჯებდა „ლოკომოტივის" მწვანე ბალახზე. ერთი წლის თავზე შუშაკი აღარც ნაკრების მწვრთნელია და „დინამოდანაც" ეს-ესაა, დაითხოვეს, თუმც ხორვატი სიამოვნებით დაგვთანხმდა ფინჯან ყავასთან ერთად იმ დაუვიწყარი თბილისური საღამოს გახსენებაზე. მანამდე კი იყო პირობა — არც ერთი სიტყვა „დინამოში" მომხდარ ამბებზე.

მაშ ასე, შუშაკი 2003 წლის 30 აპრილის საქართველო — რუსეთზე:

...ფეხბურთმა ცხოვრებაში გაცილებით მეტი კეთილი მოსაგონარი დამიტოვა, ვიდრე უსიამოვნო. ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება მატჩი, როდესაც ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებს ვწვრთნიდი და ბელგრადში იუგოსლავიას 6:2 მოვუგეთ. ამ მატჩს პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. 30 აპრილს რუსეთის ნაკრებთან გამარჯვებაც ცხოვრების ბოლომდე მეხსომება. მატჩის წინ და მერეც ფანტასტიკური სიტუაცია იყო, რამაც უდიდესი ემოციური მუხტი მომცა. ამ დღეს ჭიქასაც აუცილებლად ავწევ და სადღეგრძელოსაც ვიტყვი.

...ალბათ იცით, როგორც მოხდა ჩემი ნაკრებში მიწვევა. რაღაც ხარვეზების გამო ნაკრებმა დასახული ამოცანები ვერ შეასრულა. ჩივაძემ, როგორც ემოციურმა კაცმა, ზეწოლას ველარ გაუძლო და გადადგა. დრო ძალიან ცოტა იყო, თავად ჩივაძემ ფედერაციას ჩემი კანდიდატურა შესთავაზა, რათა ნაკრებს ერთ თამაშზე მაინც გავძღოლოდი. „დინამოს" ხელმძღვანელობის თანხმობის გარეშე ვერაფერს ვიზამდი. ამ დროს ანზორ კიკალიშვილის ინიციატივით მოხდა ჩემი შეხვედრა მერაბ ჟორდანიასთან. ჟორდანიას სჯეროდა, რომ ჩემი კანდიდატურა იმ პერიოდისთვის საუკეთესო იყო. როგორც „დინამოს" მთავარი მწვრთნელი ფოთში თამაშზე წასასვლელად ვემზადებოდი. ამ დროს ტელეფონმა დარეკა, პატარკაციშვილი იყო. მისი სიტყვები ზუსტად მახსოვს, მითხრა, ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე ნაკრების გაძღოლა თქვენს თავზე აიღეთო. მე ქართული ფეხბურთის ჯარისკაცი ვარ-მეთქი, იყო ჩემი პასუხი და ლაპარაკიც ამით დასრულდა.

...შემდეგ შეხვედრაზე ჟორდანიამ უკვე პირდაპირ მითხრა, რომ ჩემს გადაწყვეტილებებში არავის ექნებოდა ჩარევის უფლება.

...თამაშამდე ვიცოდი, რომ ორი ყვითელი ბარათის გამო კობიაშვილს ვერ გამოვიყენებდით. საქართველოში ჩამოსვლის დღიდან ერთი მოთამაშე შევნიშნე, რომელიც რეკლამირებული არ იყო, მაგრამ უდიდესი პოტენცია ჰქონდა — მალხაზ ასათიანი. საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებში მისი თამაში ვნახე შვეიცარიელთა წინააღმდეგ და მაშინვე ვთქვი, ამ ბიჭს დავაყენებ-მეთქი. ვგრძნობდი, რომ ნაკრებს ახალი სისხლიც სჭირდებოდა.

...ფეხბურთელთა მონდომებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ზოგი შეკრებაზე დათქმულ დღეზე ადრე გამოცხადდა. მათ რომ შევხედე, დავრწმუნდი, თამაში სწყუროდათ. ის სამი დღე, რომელიც ჩვენ დილმის ბაზაზე გავატარეთ, ფანტასტიკური იყო.

...მატჩისწინა დარიგებას რომ მოვრჩი, მოედანზე თავდაჯერებული გავედი. ბიჭებს თვალებში ჩავხედე და დავრწმუნდი, საბრძოლველად მომართულნი იყვნენ. დანარჩენი თქვენც ნახეთ. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ არ მჯეროდა, ეს გამარჯვება ასეთ სიხარულს თუ გამოიწვევდა. ქალაქში ნამდვილი ზეიმი იყო. ბედნიერებაა, რომ ამ ზეიმის ერთ-ერთი შემოქმედი ვიყავი. საოცრად ემოციური, დაუვიწყარი ქომაგობა იყო.

...მატჩამდე გაზაევს ჰკითხეს, იცნობდა თუ არა ივო შუშაკს. მან უპასუხა, არ ვიცნობ, არ ვიცი, ვინ არისო. მატჩის შემდეგ რუსმა ჟურნალისტმა მითხრა, გაზაევი თქვენზე ასე ამბობს და რას ფიქრობთო. როგორც მწვრთნელი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი ვარ, თუმც ამ თამაშის შემდეგ გაზაევს ისედაც ემახსოვრება, ვინც ვარ-მეთქი. გაზაევს ჩემთვის არც გამარჯვება მოულოცავს და არც ხელი ჩამოურთმევია. არადა, ჩემს მიერ ნახსენები იუგოსლავიისა და ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის დასრულების მერე საოცრად იმედგაცრუებული მწვრთნელი, თავის დროზე ლეგენდურული სერბი ფეხბურთელი მილან ჯორიჩი ჩემთან მოვიდა და გამარჯვება მომილოცა. ის ძალიან კორექტული იყო.

...მოთამაშეებიდან განსაკუთრებით მინდა მცველების ტრიო — კალაძე, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი გამოვყო. ლადო ბურდულმაც ბევრი იმუშავა. მან ორჯერ ფანტასტიკური სპრინტით გაამწვავა თამაში. თუმცა ბოლოს დაიღალა. მის მაგივრად შესულმა შაშიაშვილმაც კარგად გაართვა თავი ამოცანას. საერთოდ, ასეთ დამუხტულ მატჩში ჩართვასაც დიდი გამძლეობა უნდა.

... ჩემს კუბოკრულ კოსტიუმზე ბევრი საინტერესო ამბავი მსმენია. მას მაგიური კოსტიუმიც კი შეარქვეს. ცრუმორწმუნე არ ვარ და რაღაც პრინციპების გამო არც ტანსაცმელს ვირჩევ. თუმცა, თუ რომელიმე მნიშვნელოვან თამაშს მოვიგებ, შემდეგ მატჩზეც იგივეს ვიცვამ. ესპანეთს თასზეც კუბოკრული კოსტიუმით ვიყავი და რუსმა ჟურნალისტმა მკითხა, ამ მაგიური კოსტიუმით მოსკოვშიც გაიმარჯვეთო... არადა, არსებობს ორი სამოდელო სახლი — „ბარბარისი" და „დაქსი". ამ ფირმებს მსგავსი ფერების კომბინაცია ახასიათებთ. ერთი უფრო იაფია და ის ყველასთვის ხელმისაწვდომ ფირმად ითვლება, მეორე კი ძვირადღირებულად. რუსეთთან მატჩში „ბარბარისის" კოსტიუმი მეცვა, ესპანეთზე კი „დაქსის", თუმცა ისინი ერთმანეთს საოცრად ჰგავს. რუსეთის მატჩის კოსტიუმი კი ოჯახის წევრებმა სახლში დამატოვებინეს, ერთი პიჯაკით რატომ დადიხარო.

**დავით ერაძე**

# სიტყვა ბურთი არ არის, დააგრიალო

*ფეხბურთელს კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ გუნდიდან რომ უშვებენ, ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ როდესაც კლუბის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს ერთი თვით ადრე კარისკენ მიუთითებენ, ნამდვილად უცნაური და უჩვეულო საქმეა. „დინამომ“ ზოგი თავისი ფეხბურთელი მინიმუმ ერთთვიანი უქმობისთვის გაწირა. ერთი ამათგანი ალეკო გოგობერიშვილია, „დინამოს“ აწ უკვე ყოფილი ლიდერთაგანი და ნაკრების წევრი, რომელიც 1 მაისს უპრინციპულეს მატჩში ბოლნისის „სიონს“ ველარ დაუპირისპირდება*



გურამ [illegible] ფოტო

— ალეკო, რა მოხდა, რატომ აღმოჩნდი „დინამოსთვის“ ზედმეტი?

— სიმართლე გითხრა, დღესაც ამაზე ვფიქრობ და ახსნა ვერ მოუძებნია. დავით პეტრიაშვილის ოთახში დამიბარეს, სადაც გია გეგუჩაძეც იყო. მკითხეს, კონტრაქტი როდის მეწურებოდა და იქვე თავიანთი გადაწყვეტილებაც მომახალეს — ჩვენ შენს სამსახურზე უარს კონტრაქტის ამოწურვამდე ვამბობთო. უცნაური ისაა, რომ ეს მაშინ გააკეთეს, როდესაც „დინამოს“ ძალიან უჭირს და წინ უმნიშვნელოვანესი მატჩებია. თანაც ოთხი შეხვედრაღა დარჩა ჩემპიონატის დასრულებამდე და, მგონი, მოთმენაც შეიძლებოდა. სეზონის ბოლოს რომ კონტრაქტს აღარ გამიგრძელებდნენ, ამას ნაღდად ვგრძნობდი.

— ათვალწუნების მიზეზი პირადული ხომ არ იყო, ან შენმა ინტერვიუებმაც ხომ არ შეუწყო ამას ხელი?

— შეიძლება, პირადულიც იყო, ალბათ იმითაც გალიზიანდნენ, შუშაკის შეცვლას მიუღებლად რომ ვთვლიდი. მე ჩემი პოზიცია არც ახლა შემიცვლია.

— როგორ ფიქრობ, ვინ დაიკავებს შენს ადგილს „დინამოში“?

— ალბათ ნემსაძე იქნება ძირითადი საყრდენი, ანუ მხოლოდ ერთი საყრდენით ითამაშებენ. შეიძლება, ხმალაძე ან რომეროც გამოსცადონ, თუმცა ეს ვარიანტი ნაკლებად მოსალოდნელია.

— ახლა რას აპირებ?

— ორ-სამ დღეს დავისვენებ. შემდეგ ფორმის შესანარჩუნებლად ვარჯიშს გავაგრძელებ. ამასობაში მსურველი კლუბიც გამოჩნდება. კონკრეტული ვარიანტები ჯერ არ მაქვს, მაგრამ სეზონის დასრულების შემდეგ არც კლუბის პოვნა გაძნელდება. ყურების ჩამოყრას ნაღდად არ ვაპირებ.

— შესაძლოა, შუშაკმა კარიერა რუსეთში გააგრძელოს. რომ დაგიძახოს, წახვალ?

— არც დავფიქრდები. შუშაკთან სამი წელი ვიმუშავე და მცირე გაუგებრობაც არ მახსოვს. ვთვლი, რომ მის ხელში ფეხბურთელებმა ძალიან ბევრი ვისწავლეთ. „დინამოს“ მაშინ ძალიან უჭირდა, ახალი გუნდის კეთება იწყებოდა. ჩემი აზრით, შუშაკის მოსვლა ქართულ ფეხბურთში დადებითი მომენტი იყო. სადაც არ წავა, ვიცი, გუნდს გააკეთებს და თუ საჭირო ჩათვლის ჩემს დაძახებას, ძალიან გამიხარდება.

— შუშაკისდროინდელი „დინამოს“ ყველაზე დიდი ფიასკო „ტირანასთან“ მატჩი იყო. მაინც რა მოხდა მაშინ?

— ძნელი ასახსნელია. ეტყობა, ნაადრევად დავიგულეთ თავი შემდგომ ეტაპზე. ზედმეტად თავდაჯერებულები ვიყავით და თამაშისას გადაწყობა გაგვიჭირდა, თორემ ალბანეთშიც იგივე შემადგენლობით ვითამაშეთ, როგორითაც თბილისში. დარწმუნებული ვარ, „მილანსაც“ იგივე დაემართა „დეპორტივოსთან“, ფეხბურთში ასეთებიც ხდება.

— შენი აზრით, „დინამოს“ ყველაზე გამორჩეული თამაში რომელი იყო?

— გამორჩევა მიჭირს, ასეთი ბევრია. საქართველოს თასის ფინალი, ჩემპიონატის მოგება, ესენგეს თასის ნახევარფინალი და ფინალი... „დინამო“ ტკბილად მომაგონდება. ერთ ოჯახად ვიცხოვრეთ და იქ ბევრი ძმაკაციც დამრჩა. ვფიქრობ, ბიჭებს დღესაც შესწევთ ძალა, ეს კლუბი ისე წარმოაჩინონ, როგორც „დინამოს“ ეკადრება. მთავარია, შექმნილ ვითარებას ალღო აუღონ და თამაში ძველი შემართებით გააგრძელონ.

— ალენ ჟირესი ნაკრების კანდიდატად გთვლის — ესაც დიდი სტიმულია შენთვის...

— მე ფეხბურთში მოტივაცია არ დამიკარგავს, ჯანი მერჩის და არც უფორმობას ვუჩივი. ჩემს გზას ვიპოვი. ნაკრები კი, ბუნებრივია, ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ის სტიმულია, რომელიც არ მოგადუნებს.

— ეროვნულ ჩემპიონატში ბოლოს რამდენიმე კლუბი მოძლიერდა, მაგალითად, „თბილისი“. ამ გუნდში თამაშზე არ გიფიქრია? ან შენს ძველ კლუბში, „ვიტ ჯორჯიაში“ დაბრუნების შანსი რომ მოგეცეს...

— არ ვიცი, წინააღმდეგი არც ერთ ვარიანტზე არ ვარ, თუმცა მთავარია, შესაბამისი წინადადება მივიღო.

**დავით ერაძე**

*ხვალ ძალიან საინტერესო, ინტრიგული მატჩია — თბილისის „დინამო“ ახალ მწვრთნელ გია გეგუჩაძის ხელში პირველ მატჩს ჩაატარებს ეროვნულ ჩემპიონატში და მისი მეტოქე ჩემპიონატის ლიდერი ბოლნისის „სიონი“ იქნება. ცხადია, ეს შეხვედრა მხოლოდ ტურის ცენტრალური მატჩი არაა — „დინამო“—„სიონმა“ იქნებ ფაქტობრივად ჩემპიონის ბედიც გადაწყვიტოს.*

*„სიონისა“ და მიმდინარე ჩემპიონატის 24 წლის მთავარმეგოლე ბორის გონჩაროვსაც მეტწილად ხვალინდელ მატჩზე ვესაუბრეთ*

## ბორის გონჩაროვი: ბოლნისი თბილისში ჩამოსვლას გვპირდება

## გოგობერიშვილის არყოფნა სიონისთვის სასიკეთოა



გურამ [illegible] ფოტო

ბორის გონჩაროვი ჩემპიონატის გოლებმა ნაკრებში მიიყვანა

— „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი შეუცვალეს და ახალი თავკაცი ალბათ კორექტივებს შეიტანს გუნდის თამაშში. როგორც უნდა იყოს, „დინამო“ მაინც „დინამოა“ და ძალიან ძნელი თამაში გველის.

— „სიონს“ სტუმრად ერთხელაც არ მოუგია „დინამოსთვის“ — ალბათ, არც ეს ფაქტორია უმნიშვნელო...

— „დინამოსთან“ სტუმრად თამაში „სიონს“ კი არა, ყველა გუნდს უჭირს. ამ შეხვედრაშიც უკეთესი შანსი „დინამოს“ აქვს. ისიცაა, რომ „დინამოს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს და ფეხბურთელების მოტივაციაც უფრო მაღალი იქნება.

— „დინამოს“ არ ეყოლება გუნდიდან დათხოვნილი ალეკო გოგობერიშვილი — ეს „სიონისთვის“ კარგია თუ ამას არანაირი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს?

— გოგობერიშვილი „დინამოსთვის“ დიდი ძალა იყო და მისი არყოფნა ჩვენთვის სასიკეთოდ იმოქმედებს.

— „სიონის“ მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ ამასწინათ თქვა, ჩვენი გუნდი ჩემპიონობისთვის მაძიებელ სხვა გუნდებთან არათანაბარ პირობებშია, რადგან ვარჯიში მეტწილად დიდუბის მანეჟში გვიწევსო — ახლაც ვერ ვარჯიშობთ მინდორზე?

— ახლაც იგივე სიტუაციაა, ბოლნისში სავარჯიშოდ იშვიათად თუ ჩავდივართ.

— მაშ, როგორ ლიდერობს „სიონი“ ჩემპიონატს?

— ეს მწვრთნელისა და ფეხბურთელების პროფესიონალიზმზე მიუთითებს — ჩვენ მთელი სულითა და გულით ვთამაშობთ.

— ყველა გუნდი მაგას ამბობს, ჩვენ მთელი სულითა და გულით ვთამაშობთო, მაგრამ ლიდერი „სიონია“ — მაინც რითია გამორჩეული თქვენი გუნდი?

— ჩვენ გამორჩეული შემართებით ვთამაშობთ, ალბათ, უბრალოდ, ეგეთი კოლექტივი ვართ. თუ სხვა გუნდები უფრო კლასით გამოირჩევიან, ჩვენ ბრძოლისუნარიანობით გამოვირჩევით, რაც ჩვენი მთავარი მწვრთნელის, თემურ მახარაძის დამსახურებაა.

— „დინამოსთან“ ფრე რომ ითამაშოთ, ალბათ კმაყოფილები დარჩებით...

— რატომაც არა?! ასეთ შემთხვევაშიც შევინარჩუნებთ ლიდერობას.

— ეს იმას ნიშნავს, რომ „სიონი“ „დინამოსთან“ დაცვით ტაქტიკას აირჩევს?

— დაზუსტებით ვერფერს გეტყვით, მაგრამ, საერთოდ, „სიონი“ გასვლით მატჩებში დაცვით ტაქტიკას ირჩევს ხოლმე.

— „დინამოს“ ამ სეზონში უკვე ორი გოლი გაუტანე...

— გასამებას ვაპირებ და ვნახოთ, რა გამომივა. ძალიან კარგ ფორმაშია გიორგი შენგელია და მისი დიდი იმედი მაქვს — „დინამოსთან“ ჩემი პარტნიორი თავდასხმაში ალბათ შენგელია იქნება. ისე, „დინამოსთვის“ გოლი ადრეც გამიტანია, როცა სხვა გუნდში ვთამაშობდი.

— შეგიძლია, დაახლოებით გვითხრა, რამდენი გულშემატკივარი ჩამოყვება „სიონს“ „დინამოსთან“ მატჩისთვის?

— ბოლნისში დიდი აჟიოტაჟია და თბილისში ბოლნისელები აუცილებლად ჩამოვლენ. როცა ბოლნისში გულშემატკივრებს ვხვდებით, ყველა გვპირდება, თბილისში თქვენს საქომაგოდ მოვდივართო.

**დავით თავართქილაძე**

# ალექსიძეს მორჩენას აჩქარებენ



**„როსტოვმა“** რუსეთის პრემიერლიგა საკმაოდ უღიმღამოდ დაიწყო. „სპორტ ექსპრესმა“ ამ გუნდს ჩემპიონატის მთავარი იმედგაცრუება უწოდა. როსტოველები მომდევნო ტურში „ლოკომოტივს“ მასპინძლობენ და, თქმა არ უნდა, ურთულესი მატჩი ელით. რატი ალექსიძის ამ მატჩში მონაწილეობა კი ჯერაც სათუოა. ასე გვითხრა ჯერაც ტრავმამოუშუშებელმა ფორვარდმა, რომელსაც გუშინ როსტოვში დავუკავშირდით.

— უკვე ბურთით კი ვვარჯიშობ, მაგრამ ამას დიდი სიფრთხილით ვაკეთებ, რადგან გართულებამ შეიძლება სანანებლად გამიხადოს საქმე. მთავარ მწვრთნელს ძალიან უნდა, რომ „ლოკომოტივთან“ ვითამაშო. ამიტომ ჩემთვის ექიმებს საგანგებო ვარჯიშები შეადგენინა. ბევრს მარბენინებს და ამის შემდეგ ბურთითაც მავარჯიშებს.

— მწვრთნელთან დაკავშირებული გაუგებრობა წარსულს ჩაბარდა?

— ბალახნინი შევჩენკოზე ბევრად უკეთესი პიროვნებაა. ეს ფეხბურთელებთან ურთიერთობაშიც ჩანს. მეც ხშირად მელაპარაკება, მითხრა, რომ კარგად იცნობს ჩემს შესაძლებლობებს. ესენგეს თასზეც ვიყავი და შენს შეძენაზე სავიდის სიტყვა ჩამოვუგდეო. სწორედ მაშინ მთხოვა, „ლოკომოტივთან“ მოგებით გუნდში ვითარება გამოკეთდება და ეგებ დაგვეხმაროო.

— შენ რას ფიქრობ?

— თუ ფეხის ტკივილი გამივლის, რაზეა ლაპარაკი, „ლოკომოტივთან“ თამაში ვის არ უნდა?! თუმცა მე დაბრუნებას უფრო შემდეგი ტურის მატჩში ვგეგმავდი.

**დავით ერაძე**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი
# ჩვენი მეტოქეები

### თურქეთი

**ბელგია 2:3 თურქეთი**
1:0 სონკი (33), 1:1 ბაშთურქი (42), 1:2 თოლგა (68), 2:2 დუფერი (85), 2:3 კარადენიზი (90)
**თურქეთი:** რუშთუ (ვოლქანი 46), ბიულენთი (იბრაჰიმ ტორამანი 46), თოლგა, დენიზი (იბრაჰიმ უზულმეზი 80), დავალა უმითი (სერქანი 46), ბაშთურქი (კარადენიზი 46), უმით ოზატი, ემრე (მურატი 80), ჰასან შაში (ჰამიტ ალტინტოპი 46), ჰაქან შუქური (ოკანი 60), თუნქჩაი სანლი (ზაფერი 70)
მწვრთნელი: ერსუნ იანალი
მსაჯი: დიკ ვან ეგმონდი (ჰოლანდია)
20 000 მაყურებელი


თურქები პირველმა ილდირაი ბაშთურქმა გაახარა

## ძველი მთვარე: იანალიმ წაუგიუნეშა

**ერსუნ იანალი** უკეთეს დებიუტს ვერც ინატრებდა. ახალგაზრდა მწვრთნელის დამოძღვრილმა თურქებმა სტუმრად ბელგიას სძლიეს.

ოსმალოთა ძირითად შემადგენლობაში მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შვიდმა ბრინჯაოსანმა ითამაშა. ეს გუნდი ოდნავ განსხვავდებოდა შენოლ გიუნეშის დროინდელი ნაკრებისგან. კარში კვლავ რუშთუ იდგა. გამოცდილ ბიულენთ ქორქმაზს დაცვაში თოლგა, დენიზი და უმით ოზატი ეხმარებოდნენ. ნახევარდაცვის ხაზი ნაცადმა ბაშთურქმა, ემრე ბელოზოღლუმ, დავალა უმითმა და ჰასან შაშმა შეავსეს, ხოლო შეტევაში „ბოსფორის ბულად" წოდებულ ჰაკან შუქურს ფენერბაჰჩელი ტუნქჩაი შეუწყვილდა.

ერსუნ იანალი შემტევი ფეხბურთის ტრფიალია. როცა იგი „ანკარაგიუჯუს" წვრთნიდა, მისი გუნდი ხშირად მატჩებს დიდი სხვაობით იგებდა.

იანალისეულმა თურქეთის ნაკრებმაც ბელგიელებთან შეხვედრაში მეტი დრო შეტევაში გაატარა და სამი გოლიც გაიტანა.

ანგარიში ვესლი რინკმა საჯარიმო დარტყმით გახსნა. „ბარსელონას" სათადარიგოთა სკამის მხეხავი რუშთუ ბურთს ვერ შესწვდა.

სტუმრებმა პირველი ტაიმის მიწურულს გაათანაბრეს. ემრეს გამოზომილი პასით ბაშთურქმა იხეირა.

შესვენების შემდეგ, პირველივე წუთზე, რუშთუს ნაცვლად შესულმა ვოლკანმა იხსნა თურქები. ამით შეგულიანებულმა ოსმალომ ბელგიას ყოჩაღად შეუტია და ტოლგას ზუსტი თავურის წყალობით სტუმრები დაწინაურდნენ.

მასპინძლებმა გაქვითვა მაშინღა შეძლეს, როცა იანალს თითქმის მთელი გუნდი უკვე შეცვლილი ჰყავდა, მაგრამ ტრაბზონელმა ფორვარდმა კარადენიზმა „წითელ ეშმაკებს" გამარჯვება ბოლო წუთზე გამოსტაცა.

აღსანიშნავია, რომ 30 ათასი ბილეთიდან ნახევარი თურქებმა იყიდეს და იქაურობა სტამბოლს დაემსგავსა. სტადიონზე ოსმალოს 15 ათასამდე ქომაგი ჰყავდა.

ერსუნ იანალმა ნამატჩევს თქვა: „გუნდის თამაში კიდევ უფრო გაუმჯობესდება. მადლობელი ვარ ფეხბურთელებისა, მათ ჩემი დავალება კარგად გაიგეს და შეასრულეს".

**რომან თურქია**

## პახომოვს პაპა შთხრეს

### ყაზახეთი


ეროვნული ბიბლიოთეკა

**ყაზახეთი 2:3 აზერბაიჯანი**
0:1 ნაბიევი (31), 1:1 კარპოვიჩი (55), 1:2 ე. გულიევი (57), 2:2 ლუნიოვი (77), 2:3 სადიგოვი (80)
**ყაზახეთი:** ნოვიკოვი, სმაკოვი, ლოტოვი (ლუნიოვი 61), მუსინი, ფ. ირისმეტოვი, ბალტიევი, ჟუმასკალიევი (სამჩენკო 46), კარპოვიჩი, აკსიონოვი, გარკუშა (ავდეევი 60), ტლეხუგოვი
მწვრთნელი: ლეონიდ პახომოვი
მსაჯი: კადირ ჩინიბეკოვი (ყირგიზეთი)
20 000 მაყურებელი

**გუშინ,** აზერბაიჯანთან წაგებული მატჩის მეორე დღეს, ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა ნაკრების რუსი თავკაცი ლეონიდ პახომოვი თანამდებობიდან გაათავისუფლა. პახომოვი ისე გაეყარა ყაზახთა ეროვნულ გუნდს, ერთხელაც ვერ მოაგებინა. ამიტომაც ფედერაციის გადაწყვეტილებაში მოულოდნელი არაფერია. უეფაში ახლახან გაწევრიანებულ ყაზახეთს, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევში ჩვენს თანაჯგუფელს, სერიოზული ამბიციები აქვს, თუმც ჯერჯერობით საამბიციო საფუძველი არსად ჩანს. აზიელებმა ბოლოს სამი წლის წინ მოუგეს მაკაოს, სადაც ფეხბურთი საერთოდ თუ იციოდნენ, ესეც გასაკვირი იყო. მას შემდეგ ყაზახეთი ყველგან და ყველასთან იჩაგრება.

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, აქვე გეტყვით, რომ ლეონიდ პახომოვის ნაცვლად ნაკრებს სერგეი ტიმოფეევი უთავკაცებს.

ახლა მატჩზეც: აზერბაიჯანი 33-ე წუთზე დაწინაურდა — ნადირ ნაბიევმა საჯარიმოში ორი მცველი მოატყუა და ზუსტად დაარტყა. მასპინძლებმა მეორე ტაიმში ანდრეი კარპოვიჩის გოლით გაქვითეს, თუმც აქედან ოთხ წუთში ისევ გასათანაბრებელი გაუხდათ საქმე: ემინ გულიევმა შორიდან გაისროლა და 1:2.

თითქოს ყველაფერი აქ დამთავრდა. აზერბაიჯანი ბურთზე კონტროლს არ კარგავდა და მომენტს მომენტზე ქმნიდა, მაგრამ ყაზახებს ერთხელაც გადმოხედა ფორტუნამ: მე-80 წუთზე შეცვლაზე შესულმა ევგენი ლუნევმა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ძლიერი თავური დაჰკრა — 2:2. ერთ წუთში აზერბაიჯანი ათი კაცით დარჩა — სამირ აბასოვმა მეორე ყვითელი მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა.

მატჩის დასრულებამდე ათი წუთი რჩებოდა და ყაზახებს ნავსიანი სერიის გატეხვის იმედი მიეცათ. არ გამოვიდა. რაშად სადიგოვმა ალმათის ცენტრალური სტადიონი დაადუმა — 2:3.

**კახა შალამბერიძე**

## დანიამ შოტლანდიას კაბა აუწია

### დანია

**დანია 1:0 შოტლანდია**
1:0 სანდი (61)
**დანია:** სორენსენი, ვიგჰორსტი (რეტოვი 81), ჰენრიკსენი (კროლდრუპი 66), ლაურსენი, ნ. იენსენი (სენელსი 46), ჰელვეგი, დ. იენსენი, კ. იენსენი (კ. პერესი 46), გრონკიაერი (რასმუსენი 84), იორგენსენი (რომედალი 66), ტომასონი (სანდი 46)
მწვრთნელი: მორტენ ოლსენი
მსაჯი: მარტინ ინგვარსონი (შვედეთი)
22 885 მაყურებელი

**დანიელებმა** ესპანური კოშმარი დაივიწყეს და ოთხშაბათს კოპენჰაგენის „პარკენზე" შოტლანდიელებს სულ კუდით ქვა ასროლინეს. გემახსოვრებათ, დანიამ ერთი თვის წინ სტუმრად ესპანეთთან 0:4 წააგო და ახლა მორტენ ოლსენსა და მის შეგირდებს საკუთარი ქომაგის თვალწინ რეაბილიტაცია სურდათ. მასპინძლებმა მოკრძალებული 1:0-ით კი მოიგეს, თუმცა ეს ანგარიში მატჩის სურათს მთლიანად ვერ ასახავს. სკანდინაველთა უპირატესობა 90 წუთის მანძილზე იმდენად აშკარა იყო, რომ ისინი, სულ მცირე, ხუთი გოლის გატანასაც იმსახურებდნენ.

„შოტლანიამ ისე ითამაშა, როგორც სჩვევია — მთელი სულითა და გულით, კელტებმა ვაჟკაცურად იბრძოლეს, თუმც ისინი უფრო მაღალი კლასის გუნდს ხვდებოდნენ და არაფერი გამოუვიდათ. დღეს დანიამ დაამტკიცა, რომ ევროპის ჩემპიონატზე შემთხვევით არ მოხვდა" — თქვა ნამატჩევს დანიელთა კმაყოფილმა თავკაცმა მორტენ ოლსენმა. „დანიამ მართლაც ძლიერად ითამაშა, ჩვენ დღეს მოსაგებად შანსიც არ გვქონდა. არ გამიკვირდება, ასეთი თამაშით დანიამ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებას რომ მიაღწიოს" — ეს უკვე შოტლანდიელთა გერმანელი მწვრთნელის ბერტი ფოგთსის სიტყვებია.

მასპინძლებმა, მიუხედავად თვალსაჩინო უპირატესობისა, გოლის გატანა მხოლოდ მეორე ტაიმის შუაში, 61-ე წუთზე შეძლეს, გრონკიაერის ჩაწოდებულს ლევან კობიაშვილის თანაგუნდელმა ებე სანდმა ადგილი ზუსტად შეურჩია, მცველებთან ბრძოლაში იმარჯვა და დანიასაც გაამარჯვებინა. ეს გოლი ბოლო ათ სანაკრებო თამაშში სანდისთვის ერთადერთი იყო. მეორე ჩვენიანის, კახა კალაძის დანიელმა თანაგუნდელმა დალ ტომასონმა კი მატჩის დაწყებისთანავე გააცუდა რეალური მომენტი, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მილანელმა ბურთი ძელს გაარტყა.


დანიელებმა ებე სანდის გოლით მოიგეს და გაიხარეს


ალბანელი მეგოლე არიან ალიაი

### ალბანეთი

## არწივებმა დაბლა იფრინეს

**ესტონეთი 1:1 ალბანეთი**
0:1 ალიაი (51), 1:1 ვიიკმაე (80)
**ალბანეთი:** ლიკა (სტრაკოშა 46), ა. ბექირი, დედე, ე. ბექირი, ალიაი, ჰასი, ლალა (ა. ჰაჯი 46), მურატი (შკელა 46), დურო (მურტაი 46), ბუში (კაპლანი 67), ტარე
მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი
მსაჯი: ანდრეის სიპაილო (ლატვია)
1 500 მაყურებელი

**ესტონელთა** უპირატესობა საგრძნობი იყო. მასპინძლებმა მოედნის ცენტრი თავიდანვე წაართვეს მეტოქეს და ალბანელმა „არწივებმაც" ფრთები ველარ გაშალეს. არადა, ჰანს-პეტერ ბრიგელმა ტალინში უძლიერესი შემადგენლობა ჩაიყვანა და მისი გუნდის უსახური გარჯა ამადაც იყო გასაკვირი.

ესტონელებს პირველ ტაიმში ერთი გოლი მაინც უეჭველად უნდა გაეტანათ, მაგრამ ოპერმა ვერ იოპერა — მეკარესთან პირისპირ გასულმა ლიკა იოლად მოატყუა და კარშიც დაარტყა, თუმც ბურთს მცველმა მიუსწრო და ხაზი არ გადააკვეთინა.

მეორე ნახევარში ალბანელები გამოფხიზლდნენ და 52-ე წუთზე ალიაიმ შანსი ხელიდან არ გაუშვა. ეს იყო და ეს. სტუმრებს ღირებული მეტი არაფერი გაუკეთებიათ. მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე კი ესტონელებმა იძალეს — საჯარიმოში შექმნილი არეულობით ვიიკმაემ ისარგებლა — 1:1.

ნამატჩევს ალბანელთა თავკაცი კმაყოფილი იყო, მართალია, გაგვიჭირდა, მაგრამ მოხარული ვარ, რომ არ წავაგეთ და ეპიზოდებში კარგადაც ვითამაშეთო.

**კახა შალამბერიძე**

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

# ბლოხინი ბოლომდე
## უკრაინამ სიმართლეს და დნიპროს უყურა

უკრაინა



**უკრაინა 1:1 სლოვაკეთი**
1:0 ვენგლინსკი (13), 1:1 ვარგა (65)
**უკრაინა:** შოვკოვსკი, ჩეჩერი, რადჩენკო, ტიმოშჩუკი, ეზერსკი, რუსოლი, როტანი, რიკუნი (შელაევი 46), ნაზარენკო (კალინიჩენკო 66), ვენგლინსკი (კოსირინი 60), გუსევი (რებროვი 38)
**მწვრთნელი:** ოლეგ ბლოხინი
**მსაჯი:** ანტონ რიჟკა (პოლონეთი)
18 000 მაყურებელი

**„რა თქმა უნდა,** ძალიან გვინდა, რომ ისეთ გუნდს, როგორიც სლოვაკეთია, უპრობლემოდ მოვუგოთ. მაგრამ თუკი სიმართლეს თვალებში შევხედავთ, მივხვდებით, რომ დღეს ჩვენი დონე ამის საშუალებას არ იძლევა. იმედია, შესარჩევი ციკლის დაწყებამდე მდგომარეობა გამოსწორდება, თუმც ისიც გასათვალისწინებელია, რომ რეზერვი არც ისე დიდი გვაქვს" — ასეთია უკრაინული პრესის დასკვნა გუშინწინდელი უკრაინა — სლოვაკეთის შემდეგ.

დღეს უკრაინაში ბევრი ლაპარაკობს კრიზისზე და თითს ნაკრების თავკაც ოლეგ ბლოხინისკენ იშვერს. მით უმეტეს, მწვრთნელმა ჟურნალისტებს კიდევ ერთი სალაპარაკო თემა გაუჩინა: ნაკრებში ერთბაშად ცხრა დნიპროელს უხმო და...

„რა დაემართა გუსევს? ის საერთოდ ამოვარდა თამაშიდან. უფრო ზუსტად, გუსევზე ვერავინ იტყოდა, მოედანზე იყოო. გამორიცხული არაა, ეს დნეპროპეტროვსკელი ფეხბურთელების გამო მომხდარიყო. ისინი კიევის დინამოელ გუსევს არაფრად აგდებდნენ და ბურთსაც არ აწვდიდნენ" — ასეთია ვებ-გვერდ UA-FOOTBALL-ის ვერსია, რაც თითქმის არ განსხვავდება სხვა უკრაინელი ჟურნალისტების აზრისგან. ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, უკრაინის ნაკრებში კუთხურობა მეფობს.

მატჩი მასპინძელთათვის იღბლიანად დაიწყო. მე-13 წუთზე დნიპროელმა ვენგლინსკიმ სლოვაკთა მეკარეს შანსი არ დაუტოვა — 1:0. უკრაინელებს მეორე ტაიმში მაგრად გაუჭირდათ და 64-ე წუთზე ვარგამ ივარგა — კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს შოვკოვსკის კარში მიუჩინა ადგილი.

მომენტები ამის მერეც შეიქმნა, მაგრამ ვერც ერთმა გუნდმა ვერ გამოიყენა. საბოლოოდ მატჩი 1:1 დასრულდა და ოლეგ ბლოხინს ერთხელაც გაუხდა თავი დასაცავი. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ფეხბურთელობისას შემტევ ნაკრების თავკაცს ჟურნალისტებმა იქით შეუტიეს:

— დღეს ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა. მესმის, რომ ამ მატჩში ყველა ჩვენს მოგებას ელოდა, ამიტომ ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ ვარ. ალბათ შეამჩნიეთ, რომ რამდენიმე ფეხბურთელმა ახალ ამპლუაში ითამაშა. საერთო ჯამში თამაში საინტერესო იყო, შედეგი კი კანონზომიერი.

**— ხშირად ნაკრები სწრაფად გადადიოდა დაცვიდან შეტევაში, მაგრამ დამაგვირგვინებელი დარტყმები ძალიან ცოტა იყო...**

— ეს ჩვენი ფეხბურთის ჭირია. თუმცა ვარჯიშებზე ბიჭებს აქცენტი სწორედ ამაზე გავაკეთებინე. ისე, ზოგიერთ ფეხბურთელს ვურჩევ, უკეთესად მოემზადოს. ნაკრებში ასეთ ფორმაში მყოფი არ უნდა მოდიოდე. ჯობია, მითხრან, რომ სათამაშოდ მზად არ არიან.

**— რა კომენტარს გაუკეთებთ გორშკოვის და სპივაკის არყოფნას?**

— მე მათ დაახლოებით 40 წუთი ვესაუბრე. ვუთხარი, მნიშვნელობა არ აქვს, გაქვთ თუ არა ტრავმა, ნაკრებში უნდა ჩამოხვიდეთ-მეთქი. საბოლოოდ „ზენიტიდან" მოვიდა ფაქსი, სადაც ეწერა, რომ გორშკოვი ტრავმირებულია. სპივაკზე კი მითხრეს, რუსეთის ჩემპიონატის მომავალ ტურზე გვესტუმრეთ და აქ ესაუბრეთო.

**— როგორ ფიქრობთ, რა გზები არსებობს ნაკრების კრიზისიდან გამოსაყვანად?**

— იქნებ ეს თქვენ მითხრათ? მე დღეს ამაზე სალაპარაკოდ მზად არ ვარ.

**— არ შეგეძლოთ შევჩენკოსთვის ნაკრებში ჩამოსვლა კატეგორიულად მოგეთხოვათ?**

— შემეძლო, თან ძალიან იოლად, მაგრამ მისი კარგად მესმის. მას არასოდეს მოუგია სკუდეტო და ახლა ამის ჩინებული შანსი აქვს. შევჩენკომ მთხოვა, „რომასთან" მომზადებაში ხელი არ შემეშალა და ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი. ისე, ისიც საკითხავია, რა სჭირს შევჩენკოს შესამოწმებელი? მე კარგად ვიცი მისი შესაძლებლობები და მირჩევნია, სხვები გამოვცადო.

*გრიგორი სურკისი*, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

— მე ბოლომდე ვენდობი ბლოხინს. მართალია, ჯერ ცუდი შედეგები აქვს, მაგრამ ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ამხანაგური მატჩები იმისთვისაა, რომ ექსპერიმენტები ჩატარდეს. თან ისიც გაითვალისწინეთ, რომ ახლა ნაკრების ათი წევრი ტრავმირებულია.

**ბაჩა შალამბერიძე**



ოლეგ შელაევი და მისი უკრაინა სლოვაკებს ფრეს გამორჩნენ

# ოტო რეჰაგელი ეინდჰოვენში შეჩერდა

საბერძნეთი

**ჰოლანდია 4:0 საბერძნეთი**
1:0 მაკაი (50), 2:0 ზენდენი (58), 3:0 ჰეიტინგა (61), 4:0 ვან ჰოიდონკი (89)
**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი (გეორგიადისი 82), დაბიზასი, დელასი, ფისასი (ვენეტიდისი 65), იანაკოპულოსი (ბასინასი 46), კარაგუნისი (ლაკისი 46), გუმასი, ზაგორაკისი (ცარტასი 46), ვრიზასი (ხარისტიასი 46), ნიკოლაიდისი (პაპადოპულოსი 46)
**მწვრთნელი:** ოტო რეჰაგელი
**მსაჯი:** კოსიმო ბოლონინო (იტალია)
27 000 მაყურებელი



**საბერძნეთის** ნაკრებმა თითქმის ორწლიანი და 15-მატჩიანი წაუგებელი სერია ოთხშაბათს ეინდჰოვენში შეწყვიტა — ოტო რეჰაგელის შეგირდებმა ჰოლანდიელებთან 0:4 წააგეს.

„ჩვენ გვსურს, წაუგებელი სერია კიდევ დიდხანს გავაგრძელოთ, თუმცა დასასრული ყველაფერს აქვს. დღესდღეობით საბერძნეთის ნაკრების მთავარი მიზანი ევროპის ჩემპიონატისთვის მომზადებაა" — ბერძნების მწვრთნელს ჰოლანდიაში გამგზავრებამდე, ეტყობა, გული ცუდს უგრძნობდა.

ბერძნები ეინდჰოვენს უძლიერესი შემადგენლობით ესტუმრნენ. მათ აეკ-ის მცველი მიხალის კაპსისი კი აკლდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, ითამაშეს „ოლიმპიაკოსის" მცველმა სტანისლაოს ვენეტიდისმა და „ინტერის" ჰავბეკმა გეორგიოს კარაგუნისმა. ესენი საბერძნეთის ნაკრებისთვის დიდ ძალას წარმოადგენენ.

ჰოლანდია სტუმრებს აშკარად შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდა. მასპინძლებს ვან ნისტელროოი, ვან დერ მეიდე, დავიდსი, რობენი და კოკუ აკლდნენ, და მიუხედავად ამისა, ჰოლანდიელებს ბოლო ხანს ამბიციამოძალებული ბერძნების ძლევა მაინცდამაინც არ გასჭირვებიათ.

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლებმა სტუმრები აღარ დაინდეს. პირველი გოლი 50-ე წუთზე როი მაკაიმ გაიტანა ზენდენის პასისას. ცოტა ხანში კი თავად ზენდენმა გაიტანა, როცა დამატებაზე იყოჩაღა და დაბიზასისგან ასხლეტილი ბურთი მეკარე ნიკოპოლიდისის კარში შეაგდო. 61-ე წუთზე მცველ ჰეიტინგას ჯერი დადგა, ის მარჯვედ ჩაერთო შეტევაში და ვან დერ ვაარტის ჩაწოდებულს მოხდენილი თავური შეაგება. მატჩის დამთავრებამდე წუთით ადრე კი ვან ჰოიდონკმა ზენდენის ასისტენტობით ნაკრებში მეათე გოლით საბოლოო წერტილი დასვა.

ბერძნები მეორე ტაიმში ვან დერ საარის კარს ერთი-ორჯერ თუ მიუახლოვდნენ, თუმც მათი შეტევები არაფრისმაქნისი იყო და მეკარესაც სანერვიულო არაფერი ჰქონია. რეჰაგელის ბიჭები შედარებით აქტიურად პირველ ტაიმში თამაშობდნენ. დაბიზასს რეალური საგოლე მომენტიც ჰქონდა, მაგრამ მისი თავური ვან დერ საარმა კუთხურზე მოიგერია.

მოკლედ, საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქემ ჰოლანდიელებთან შეხვედრისას თავი ვერაფრით გამოიჩინა, მწვრთნელ ოტო რეჰაგელს კი ნამატჩევს ათქმევინა, ჰოლანდიელებთან ისე უსუსურად გამოვიყურებოდით, რომ ასეთი თამაშით ევროპის ჩემპიონატზე არაფერი გვესაქმებაო. თუმც გერმანელ სპეციალისტს ამის თქმაც არ დავიწყნია — ეს მატჩი მხოლოდ და მხოლოდ მოსამზადებელი იყო და ჰოლანდიელების მადლობელი ვარ, შეცდომებზე რომ მიგვითითესო.



ბერძენმა გეორგიოს კარაგუნისმა (№ 10) რაფაელ ვან დერვაარტს და მის ჰოლანდიას ვერაფერი დააკლო

# ამხანაგური მატჩები

## დიდი სიყვარულის მატჩი
## უცქირეთ ბაჯოს და დაინახეთ ესპანეთი

**იტალია 1:1 ესპანეთი**

0:1 ტორესი (53), 1:1 ვიერი (56)

**იტალია:** ბუფონი (პერუცი 46), პანუჩი, ფ. კანავარო (მ. ფერარი 46), მატერაცი, ძამბროტა, ფიორე (დიანა 76), პეროტა (ამბროზინი 46), პირლო (ნერვო 76), რ. ბაჯო (მიკოლი 87), ვიერი (კორადი 76), დი ვაიო (ფავალი 66)

**ესპანეთი:** კასილიასი (კანისარესი 79), სალგადო (მანუელ პაბლო (46), ი. ელგერა (მ. სესარი 65), ხუანიტო, რაულ ბრავო, ხ. ეჩებერია, ალბელდა (ბარახა 79), ხაბი ალონსო (ხავი 46), ვისენტე (ვალერონი 46), რაული (ფ. ტორესი 46), მორიენტესი (ხოაკინი 46)

**მსაჯი:** გრემ პოლი (ინგლისი)

30 300 მაყურებელი

გენუაში, იტალიისა და ესპანეთის ფრედ, 1:1 დასრულებულ შეხვედრაში სანაკრებო კარიერას ფორმალურად დაემშვიდობა ადამიანი, რომელსაც ამ ნაკრებში ხუთი წელიწადი ისედაც არ ეთამაშა — რობერტო ბაჯო. დიახ, გენუაში იმ საღამოს მთავარი ბაჯო იყო. ტრიბუნებზე ქომაგებს ბაჯოსადმი მიძღვნილინაირნაირი პლაკატები ჰქონდათ გამოფენილი, მაყურებლიც ნიადაგ „ცხენისკუდა" ვარსკვლავის ძებნაში იყო და მატჩის ავ-კარგიანობას მისი მოქმედებების მიხედვით სჯიდა და ამ დროს, ერთი შეხედვით, ყურადღების მიღმა რჩებოდა სტუმარი გუნდი. ესპანეთის ნაკრები, რომელიც ამ ევრო 2004-ის წინ გვარიანად სერიოზულ ძალად ჩამოყალიბებულა.

წამყვანი ფეხბურთელები ორივე მხარეს აკლდა. „სკუადრა აძურას" მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის არ ჰყავდნენ ფრანჩესკო ტოტი, ანტონიო კასანო, ალესანდრო ნესტა და მეკარე ფრანჩესკო ტოლდო. ესპანელი ინაკი საესის განკარგულებაში არ იყვნენ ლუის გარსია, კარლეს პუიოლი, მარჩენა და სხვები.

სასტარტო სასტვენიდან მოყოლებული, სტუმრებმა მასპინძლების შევიწროვება სცადეს. მეოთხე წუთზე ჯანლუიჯი ბუფონმა რაულის ახლოდან დარტყმული მოიგერია, ცოტა ხნის შემდეგ კი ივან ელგერამ გოლიც შეაგდო, ოღონდ მსაჯებმა არ ჩათვალეს, ოფსაიდი იყოო.

ერთი სიტყვით, იტალიელები ნახევარდაცვას აგებდნენ, რისი ნათელი დასტურიც გახლდათ ხოსება ეჩებერია, მარჯვენა ფრთიდან დაუსრულებელ პრობლემებს რომ უქმნიდა მასპინძლებს. ბილბაოს „ატლეტიკის" გარემარბმა ერთ ეპიზოდში კინაღამ გახსნა კიდეც ანგარიში — ბუფონმა ლამაზი ნახტომით მოიგერია ბურთი. სახიფათო მომენტები ჰქონდათ ფერნანდო მორიენტესსა და დავიდ ალბელდასაც.

სტადიონის გასახარად, შესვენებამდე „სკუადრა აძურას" საუკეთესო მომენტი რობერტო ბაჯომ შექმნა, მან ანდრეა პირლოს ჩაწოდებულ ბურთს თავი კი დაარტყა, მაგრამ უზუსტოდ.

შესვენების შემდეგ უპირატესობა კვლავ ესპანელებისა გახლდათ და 53-ე წუთზე ალბელდას პასით ტორესმა ანგარიში გახსნა, თუმცა მასპინძლებმა მალე გაქვითეს: სტეფანო ფიორეს პასს კრისტიან ვიერიმ ძლიერი თავური დასცხო.

თუმცა ამაზე დიდი ტაში გენუელებს მაინც ბაჯომ მოსწყვიტა. ეს თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე მოხდა, როდესაც დიდმა ცხენისკუდამ მოედანი დასტოვა.

ჯოვანი ტრაპატონი: „მან ძალიან კარგად ითამაშა. დღეს გამოჩნდა, რომ მართალი ვიყავით. ბაჯოსთვის ასეთი თამაში უნდა მიგვეძღვნა, რათა გამოჩენილიყო, როგორ უყვარს იგი ხალხს".

**პაპუნა ძიძია**



სანამ მოედანზე იყო, რაულისთვის სიმონე პეროტას თვალი არ მოუცილებია




*მოედანზე ამდენხანს არ უნდა დავრჩენილიყავი, მაგრამ მწვრთნელმა დამტოვა იმ იმედით, რომ გოლს გავიტანდი. სამწუხაროდ, ჩემს გოლს გატანა არ ეწერა — ასე თქვა დიდმა „ცხენისკუდამ", რობერტო ბაჯომ, თავისი ბოლო სანაკრებო თამაშის შემდეგ. არადა, პირველ ტაიმში იყო მომენტი, ანდრეა პირლოს პასს ბაჯომ თავური ჰკრა, ოღონდ მიზანს ააცილა და შესაბამისად, მისი მონაგარი 56 შეხვედრაში 27 გოლი დარჩა*

# GRAZIE ITALIA!
## ტკივილი, რომელიც სიხარულით რჩება

„დიდ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ასეთი თანადგომა და სიყვარული მაგრძნობინა არა მხოლოდ ამ საღამოს, არამედ მთელი კარიერის განმავლობაში" — დასძინა ბაჯომ, თუმცა მეტისმეტად თავგადაკლულ ქომაგთა იმედს, რომ წასვლას გადაიფიქრებს და იქნებ ევრო 2004-ზე აღმოჩნდეს, გაღვივების საშუალება არ მისცა.

„დღევანდელი საღამო ჩემთვის საგანგებო იყო, რადგან ბოლო გახლდათ. მართალია, ძალიან მინდოდა თამაში, ოღონდ ასი პროცენტითაც არ ვიყავი მზად. ახლა, კიდევ რამდენიმე საკლუბო თამაში დამრჩა".

მოგეხსენებათ, ვეტერანის მონაწილეობა ესპანელებთან ამხანაგურ შეხვედრაში ერთი ხანობა ეჭვის ქვეშაც კი იდგა, რადგან კვირას, პერუჯაში, სერია A-ს მატჩში კუნთი იტკინა.

„ფეხმა ისევ შემახსენა თავი და ეს ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ. ფეხბურთიდან წასვლა ამიტომაც გადავწყვიტე, მაგრამ დღევანდელ შეხვედრაში მონაწილეობა ისე მინდოდა, რომ ტკივილს ყურადღება აღარ მივაქციე".

და, ალბათ სწორადაც მოიქცა, რადგან „სტადიო ლუიჯი ფერარისი" ფეხზე წამოუდგა და დიდი ოვაცია მოუწყო.

„დღეს საუკეთესო სიტყვები მითხრეს, ხალხმა პლაკატები გამოფინა. ეს ფრაზები არასდროს ამოიშლება ჩემი გულიდან".

ბაჯომ თანაგუნდელებსაც დიდი მადლობა გადაუხადა:

„განსაკუთრებით მინდა კრისტიან პანუჩის ვუთხრა მადლობა, რადგან მეორე ტაიმში კაპიტანი ის უნდა ყოფილიყო, მან კი უარი თქვა და სამკლაური მე გადმომცა. ეს ჩემს ცხოვრებაში პირველი შემთხვევა იყო, მანამდე ნაკრების სამკლაური არ მკეთებია".

და, როგორც გითხარით, მალე ბაჯო სულ წავა ფეხბურთიდან.

„ეს გადაწყვეტილება ჩემთვის ძალიან ძნელი მისაღები გახლდათ, თუმცა ფაქტია, რომ ფეხბურთიდან წასვლის წამს თავიდან ვერავინ აირიდებს. დიდი მადლობა ყველა იმ კლუბს, რომელმაც ბოლოხანს წინადადებით მომმართა, მაგრამ რაც გადაწყდა, გადაწყდა, ნათქვამს აღარ შევცვლი. მე პროფესიონალი ვარ და ყოველთვის პირველობისთვის ვიბრძოდი. ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანად ნაკრების კარი ყველასთვის კვლავაც ღიაა, მაგრამ მე ესპანეთთან ამ ერთი თამაშისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნი".

შემდეგ რობერტო ბაჯოს სანაკრებო კარიერის გადახედვა დ საუკეთესო მომენტების მოგონება სთხოვეს.

„ჩემი სანაკრებო კარიერის ყველაზე კარგი თამაში, რომელიც არასდროს დამავიწყდება, აშკარად დღეს იყო. კარიერაში ადამიანი ბევრ ჯილდოს იგებ, ბევრ შეხვედრაში რჩები გამარჯვებული, მაგრამ ხალხისგან ასეთ სიყვარულს ძალიან იშვიათად გრძნობ და ემოციით ასე ძლიერ ძალიან იშვიათად იტვირთები".

1993 წლის „ოქროს ბურთისა" და ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდების მფლობელმა მომავალ ვარსკვლავებზეც ილაპარაკა:

„განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი გახლავთ ანდრეა პირლო. ვფიქრობ, მან „მილანსა" და იტალიის ნაკრებს დიდი გარმაჯვებები უნდა მოუტანოს".

ხოლო თავის მომავალზე „ცხენისკუდამ" ასე თქვა:

„ვფიქრობ, ბუცებს რომ ჩამოვკიდებ, ცხოვრებას რაიმე სხვა გაგრძელება უნდა მოვუნახო. ვნახოთ, რა მოხდება, მადლობა ყველას".

**პაპუნა ძიძია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

## ფრე ნუნუმ ითავა

**პორტუგალია 2:2 შვედეთი**
0:1 კალსტრიომი (17), 1:1 პაულეტა (33), 1:2 რუი ჟორჟე (85ავტ.), 2:2 ნუნუ გომეში (90)
ფიგუმ ვერ გაიტანა პენალტი (26, მეკარე)
**პორტუგალია:** რიკარდუ (კიმი 46), მ. მონტეირუ (პოსტიგა 75), ჟორჟე ანდრადე, ფ. კოუტუ, რუი ჟორჟე, პეტიტი (მეირა 66), ტ. მენდეში (ნუნუ ფრეშაუ 46), რუი კოშტა (ვიანა 66), ფიგუ (კ. რონალდო 63), სიმაო (ბოა მორტე 63), პაულეტა (ნუნუ გომეში 63)
**შვედეთი:** ისაკსონი (შედმანი 46), ვალშტედტი, მიალბი (ჰანსონი 52), მელბერგი (იაკობსონი 46), ლუკიჩი (ედმანი 46), კალსტრიომი, ლინდეროტი (ა. ანდერსონი 72), ა. იოჰანსონი (ა. სვენსონი 63), ოლბოკი (სკოოგი 46), იბრაჰიმოვიჩი (ელმანდერი 63), ვილჰელმსონი
**მსაჯი:** დარკო ჩეფერინი (სლოვენია)
**14 000 მაყურებელი**

პორტუგალია აგებდა და გვარიანი ჩოჩქოლის წინაპირობასაც ამზადებდა — ხომ წარმოგიდგენიათ რა, ამბავი ატყდებოდა ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ევროპის ჩემპიონატამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე შინ რომ დამარცხდებოდა — მაგრამ ჩოჩქოლი არ შედგა, თამაში 2:2 დასრულდა.

შვედებმა წინა ამხანაგურში ინგლისი დაამარცხეს და ახლა მეორე სენსაციის მოსახდენად ემზადებოდნენ: ანგარიში 1:1 იყო, თამაშის დამთავრებამდე კი ხუთი წუთი რჩებოდა, როდესაც რუი ჟორჟემ თავის კარში შეაგდო და სტუმრები დააწინაურა, მაგრამ კოიმბრას სტადიონზე შეკრებილ ქომაგთა გასახარად მდგომარეობა ნუნუ გომეშმა გამოასწორა. მსაჯის წამატებული მეორე წუთზე თამაში გადაარჩინა.

სხვათა შორის, ამ შეხვედრაში პორტუგალიელებს მეორედ მოუხდათ ანგარიშის გაქვითვა. დასაწყისშიც იგივე იყო, ჯერ შვედებმა გაიტანეს — კერძოდ ეს კიმ კალსტრიომმა შეძლო — შემდეგ კი პაულეტამ გაქვითა.

პორტუგალიელების მწვრთნელს, ლუიშ ფელიპე სკოლარის არ ჰყავდა „პორტუს“ ხუთეული, პაულუ ფერეირა, რიკარდო კარვალიო, ნუნუ ვალენტე. კოშტინია და დეკო. ისინი ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალური მატჩისთვის ემზადებოდნენ და ნაკრებში თამაშისგან თავი შეიკავეს. მათი არყოფნა იმას ნიშნავდა, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვდნენ პეტიტი, ტიაგო, მანუელი და რუი ჟორჟე. რაც შეეხებათ შვედებს, მათ არ ჰყავდათ ფრედერიკ ლიუნგბერგი და მიქაელ სვენსონი.

მასპინძლებს აქცენტი შემტევ ნახევარმცველთა ტრიოზე, სიმაო საბროსაზე, ლუიშ ფიგუზე და რუი კოშტაზე ჰქონდათ გაკეთებული. ისინი სწრაფი პასებითა და ქროლვით მართლა უქმნიდნენ შვედების დაცვას პრობლემას. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს: დაახლოებით 30 მეტრიდან კალსტრიომმა დაბლა დაარტყა, რიკარდუ ბურთის მოსაგერიებლად გაემზადა, მაგრამ ბურთი სრულიად უცნაურად მოხვდა და კარში შევარდა.

პორტუგალიამ გაშვებულ გოლს გააქტიურებით უპასუხა. 22-ე წუთზე „პარი სენ ჟერმენის“ მოთამაშემ, პაულეტამ ძელს გაარტყა ბურთი. მას ამ საქმეში გონივრული თამაშით ფიგუ დაეხმარა. ფიგუმ ერთი ხნის შემდეგ ანდერს იოჰანსონს წესი დააშავებინა თავის საჯარიმოში. დაინიშნა პენალტი, რომელიც თავად ფიგუმ დაარტყა, ოღონდ უღონოდ და უნიჭოდ. ანდრეას ისაკსონმა ბურთი მეორე ცდით იხელთა.

თუმცა, 33-ე წუთზე მასპინძლებმა მაინც გაათანაბრეს. ეს ასე მოხდა: რუი კოშტამ დაარტყა, ბურთი მიალბის მოხვდა და პაულეტას მიუხტა, ხოლო პაულეტამ უყოყმანოდ ისარგებლა და გაათანაბრა.

შესვენების შემდეგ მაყურებელმა ბევრი ცვლილება იხილა. სკოლარიმ განლაგება 4-5-1-დან 4-4-2-ზე გადააწყო, რითაც ლუიშ ბოა მორტეს და კრისტიანო რონალდოს ფლანგებზე მეტი თავისუფლება მიანიჭა, მაგრამ ამით სახეირო ვერაფერი მიიღო.

ბოლოს კი გითხარით, რაც მოხდა: ვილჰელმსონი მარცხენა ფრთაზე გაიჭრა, მცველს გაასწრო და ხაზთან მისულმა ბურთი უკან დააგორა, სადაც... მას რუი ჟორჟე დახვდა, რომელმაც საკუთარ კარში შეაგდო. თუმცა, სკანდინაველები ტრიუმფისთვის რომ ემზადებოდნენ, ნუნუ გომეშმა რონალდოს ასისტენტობით, თავურით გაქვითა.

**პაპუნა ძიძია**



უგო ვიანა და ანდრეას იაკობსონი



## გერმანიას მაგრად მოხვდა

## მე მაპატიეთ

### ჩვენ ბოდიში გვიშველის?!

**რუმინეთი 5:1 გერმანია**
1:0 პლესანი (22), 2:0 რატი (24), 3:0, 4:0 დანჩულესკუ (36, 42), 5:0 კარამარინი (87), 5:1 ლამი (89)
**რუმინეთი:** ლობონტი, სტოიკანი, რატი, იენჩი, კივუ (გიონია 35), რადოი, დიკა (კარამარინი 70), ფ. პეტრე (კონტრა 77), განია, პლესანი (ო. პეტრე 75), დანჩულესკუ (ნეაგა 70)
**გერმანია:** კანი (ჰილდებრანდი 46), ფრიდრიხი, ერნსტი (კელი 77), რამელო, ლამი, ფრინგსი (ფრაიერი 46), ჰამანი, იერემისი, ბ. შნაიდერი, კურანი, ბობიჩი (ნოივილი 63)
**მსაჯი:** რობერტო როზეტი (იტალია)
**25 000 მაყურებელი**

2001 წლის სექტემბერში, მიუნხენში, ინგლისთან 1:5 მარცხის შემდეგ გერმანიას ასე მწარედ არავისთან წაეგო.

ბუქარესტს ბუნდესნაკრები მეტად სახეცვლილი და შესუსტებული ესტუმრა. ტრავმირებულ კრისტიან ვიორნსს და კრისტიან რანს მატჩის წინ იენს ნოვოტნიც დაემატა და მისი ადგილი კარსტენ რამელომ დაიკავა.

ბოლომდე ვერ გამოკეთდა მიხაელ ბალაკიც, ხოლო ოლივერ კანი მტკივანი ფეხით იდგა კარში. რუდი ფიოლერს კანისთვის და ლემანისთვის თითო ტაიმის დათმობა სურდა, მაგრამ არსენალელიც დაშავებული აღმოჩნდა.

სტუმრები ბუქარესტში პირველივე ნახევარში მოიშალნენ, მაგრამ დიტმარ ჰამანის აზრით: „გერმანია რუმინეთში 1:5-ისთვის არ უნდა ჩადიოდეს. რამდენიმე მთავარი ფეხბურთელის გამოკლება მარცხს არ ამართლებს. გუნდთან, რომელიც მსოფლიო ელიტა არ ეკუთვნის და ევრო 2004-ზეც ვერ მოხვდა, მსგავსი ანგარიშით კი არა, საერთოდ, წაგება სირცხვილია.“

ოლივერ კანი: „ბოდიშით საქმეს არ ეშველება. ძალიან გაწბილებული ვარ, ჩვენ ხომ 45 წუთში დაგვანგრიეს“.

რუდი ფიოლერი: „ასეთი სუსტი გუნდის ჩაყვანისთვის დამნაშავე ვარ. ქედს ვიხრი რუმინელთა წინაშე. მსგავსი შემადგენლობით, რომელიც ბუქარესტში გვყავდა, მომავალში აღარ ვითამაშებთ. ჩვენ ბავშვური შეცდომების გამო წავაგეთ, არადა, ფეხბურთელების პროფესიონალიზმში ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი. მცველთა შერჩევისას აშკარად შევცდი და ეს მხოლოდ ჩემი ბრალია“.

გერმანელთა დაცვა მასპინძლებმა თავიდანვე ააფორიაქეს და მალე კიდეც იხეირეს. პლესანმა ერნსტის პასი ჩაჭრა, სამ მეურვეს ჩაურბინა და კანს ცაციით გაუტანა.

გალაღებულმა რუმინელებმა იქვე მეორეც მიაყოლეს. რაზვან რატმა ფრიდრიხს სისწრაფეში აჯობა და ბურთი სტუმარ მეკარეს თავზე გადაავლო.

მოგვიანებით ზეიმი იონელ დანჩულესკუმ მოიწყო. მან მცველებს დაასწრო და პეტრეს ჩაწოდებული ბადეში ფეხით შეაბრძანა, მერე კი გერმანელები ჰაერშიც დაჩაგრა — ექვსიოდ მეტრიდან თავური დარტყმით შეაგდო.

მეორე ტაიმის ბოლოს ბუნდესნაკრები კარამარინმაც არ დაინდო და მეხუთე გაუტანა. შესვენების შემდეგ რუმინელებმა კანის შემცვლელი ტიმო ჰილდებრანდიც გვარიანად დატვირთეს, ხოლო ფილიპ ლამის ერთმა საპასუხო გოლმა გერმანელთა დამძიმებული გულები ალბათ სულ მცირედით შეამსუბუქა.

„ვფიქრობ, რომ ამას არავინ ელოდა — თქვა ნამატჩევს მასპინძელმა რატმა — ჩვენ ძირითადი შემადგენლობის ბევრი ფეხბურთელი არ გვყავდა, მაგრამ მაინც შესანიშნავად ვითამაშეთ. ეს ალბათ ახალი გუნდის დაბადებაა“.

**გაჟა ხუციშვილი**




რუდი, წადი სახლში! მოუწოდა გერმანულმა „ბილდმა“ ფიოლერს



ოლივერ კანი: 45 წუთში დაგვანგრიეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

## ჩეხების მექუზოვე

**ჩეხეთი 0:1 იაპონია**

0:1 კუბო (32)

**ჩეხეთი:** ჩეხი (ბლაჟეკი 46), უიფალუში, გალაშეკი (ტისი 46), ბოლფი (როზენალი 46), იანკულოვსკი (ჟირანეკი 46), შმიცერი (მარეში 46), პობორსკი (დრობნი 81), ნედვედი, როსიცკი (ვახოუშეკი 52), კოლერი (ლოკვენცი 46), ბაროში (ჰაინცი 46)

**იაპონია:** ნარაზაკი, ცუბოი, ტანაკა, ჩანო, ინამოტო (ენდო 65), ონო (ფუკუნიში 81), ნიში (კაჯი 46), ფუჯიტა (მიურა 81), სანტოსი (მოტოიამა 81), კუბო, ტამადა (იანაგისავა 63)

მსაჯი: პოლ მაკკეონი (ირლანდია)

11 802 მაყურებელი

იაპონელებმა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე რუსთა დამარცხების შემდეგ ევროპელ მეტოქეს პირველად სძლიეს. მათ ერთი კვირის წინ ბუდაპეშტში უნგრელებთან შეხვედრა 2:3 დათმეს, გუშინ კი გაცილებით ძლიერ ჩეხებს მოუგეს.

კარელ ბრიუკნერის ნაკრებმა ზედიზედ მეორე ამხანაგური მატჩი წააგო. წინა თვეში დუბლინში, ირლანდიასთან, ამჯერა კი შინ აზიელებთან.

„განსაკუთრებით პირველ ტაიმში ძალიან კარგად ვითამაშეთ — თქვა სტუმართა მწვრთნელმა ზიკომ — ჩეხებმა მეორე ნახევარში გვაჯობეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ გამარჯვება დავიმსახურეთ“.

მასპინძელთა ძირითად შემადგენლობაში ტრავმამოშუშებული ტომაშ როსიცკი და კარელ პობორსკი დაბრუნდნენ, რომლებმაც ირლანდიასთან შეხვედრა გამოტოვეს. შვიდთვიანი შესვენების შემდეგ ვლადიმერ შმიცერიც გამოჩნდა.

იაპონელებს რეჯინელი შუნსუკი ნაკამურა, ჰამბურგელი ნაოჰირო ტაკაჰარა და ბოლონიელი ჰიდეტოში ნაკატა არ ჰყავდათ.

ჩეხებმა მეათე წუთზე ანგარიში გახსნეს, მაგრამ მსაჯმა მილან ბაროშს გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალა.

ამის მერე სამჯერ ბურთის მოგერიება პეტერ ჩეხს მოუწია, რომელმაც ინამოტოს, კუბოს და ტამადას დარტყმულები არ გაუშვა.

თითო საგოლე მომენტი იან კოლერს და ტომაშ როსიცკისაც ჰქონდათ, მაგრამ სტუმართა მეკარემ ივარგა.

შეხვედრის დაწყებიდან ნახევარ საათში იაპონელები დაწინაურდნენ. კუბომ საჯარიმოს წინა ხაზიდან დაარტყა და ბურთი ხარიხის ქვეშ შეაძვრინა.



იაპონელთა კართან დიდი რია-რია იყო

ბრიუკნერმა ექვსი ფეხბურთელი შეცვალა, რაც გუნდს უმალ დაეტყო. მეორე ტაიმში ჩეხები უკეთ ათამაშდნენ, მაგრამ სეიგო ნარაზაკის ვერ გაუტანეს. ვრატისლავ ლოკვენცი ნარაზაკისთან პირისპირაც გავიდა, თუმც იაპონელთა მეკარემ იყოჩაღა. მოგვიანებით ერთი გოლი თამაშგარის გამო მსაჯმა სტუმრებს არ ჩაუთვალა.

„შესვენებამდე არაფერი გამოგვდიოდა, რადგან ბურთი ვერ გავაგორეთ, მერე კი მოვუმატეთ, მაგრამ იაპონელთა დაცვამ გვაჯობა“ — თქვა ნამატჩევს ჩეხთა მწვრთნელმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## მეხუთე და ბრაზილია

### პარეირამ მადიარებს გადაუარა



ბრაზილიელთა კაპიტან კაფუს ლამის მაისურა შემოახიეს

**უნგრეთი 1:4 ბრაზილია**

0:1 კაკა (33), 0:2, 0:3 ლუის ფაბიანო (36, 45), 1:3 ტორშელე (57), 1:4 რონალდინიო (75)

**უნგრეთი:** ბაბოში, შიმეკი (ტორშელე 46), ჰუშტი, შტარკი, პეტო (ბოდორი 46), ლიპჩეი (იუჰაში 46), მოლნარი (ფარკაში 71), ბ. ტოტი, კენეშეი (საბიჩი 60), გერა (დვერი 68), ბოდნარი (ჰერჩეგფალვი 86)

**ბრაზილია:** დიდა, ჟუანი (ბორდონი 68), ედმილსონი, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი (დედე 46), კაფუ (მანსინი 46), ჟუნინიო პერნამბუკანო (ჟულიო ბაპტისტა 61), ზე რობერტო (ედუ 46), კაკა (ალექსი 60), რონალდინიო (ფელიპე 77), ლუის ფაბიანო

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

44 000 მაყურებელი

**მაროკო 0:1 არგენტინა**

0:1 კილი გონსალესი (52)

**მაროკო:** ლამიაგრი, ელ კარკური, ნაიბეტი (ჩიჰაბი 71), უადუ, კაისი, ხარჯა, მოხტარი (ბაჰა 88), იაკუბი (მ. დიანე 64), შამახი, ჰდოუ (კასემი 46), ზაირი (ი. ჰაჯი 77)

**არგენტინა:** კავალიერო, კიროგა, რ. აიალა, ვ. სამუელი, ხ. ძანეტი, კამბიასო, დალესანდრო, კილი გონსალესი (გ. მილიტო 90), სოლარი (რიკელმე 46), კრესპო (პლასენტე 72), ს. დელგადო

მსაჯი: სალა ნდოვე (სენეგალი)

60 000 მაყურებელი

**ჩილე 1:1 პერუ**

1:0 ლ. ფუენტესი (56), 1:1 ზუნიგა (90)

**აშშ 1:0 მექსიკა**

1:0 პოუპი (90)

**უნგრელებს** ბრაზილიელები აქამდე ოთხჯერ შეხვდნენ. მსოფლიოს 1954 და 1966 წლების ჩემპიონატებზე ევროპელებმა სამხრეთამერიკელები დაჯაბნეს. 1971-ში რიო დე ჟანეიროში ამხანაგურად უგოლო ფრე ითამაშეს, 1986 წელს კი ბუდაპეშტში მადიარებმა 3:0 მოიგეს. ბრაზილიელებმა მეხუთე მატჩში გატეხეს ნავსი და უნგრელებს პირველად სძლიეს.

მასპინძელთა კარში გატანილი ოთხიდან სამი რონალდინიოს ნაღვაწია.

ბარსელონელმა კაკას საგოლე პასი მისცა და მილანელმა ათიოდ მეტრიდან შეაგდო. სამი წუთის შემდეგ ლუიშ ფაბიანომ დაამატა ბურთს, რომელიც ბაბოშმა რონალდინიოს აულო. „სან პაულუს“ ფორვარდმა პირველი ტაიმის მიწურულს რობერტო კარლოსის ჩაწოდებულზეც იხეირა.

შანდორ ტორშელმა ანგარიშში სხვაობა მეორე ნახევრის დასაწყისში შეამცირა. მისი დარტყმული დიდამ მოიგერია, მაგრამ მცველებს ტორშელმა დაასწრო და მეორე ცდაზე გაიტანა.

მატჩის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე რონალდინიომ უნგრელ ქომაგებს ასიამოვნა. ორი მცველი ჩამოიცილა, მეკარეც მიაყოლა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

„ჩემმა გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა. მასპინძელთა დაცვაში ღრიჭოები ვნახეთ და ლამაზი გოლები გავიტანეთ. ვამაყობ, რადგან უნგრელებს პირველად ჩემი მწვრთნელობისას მოვუგეთ“.

ლოთარ მათეუსი: „ეს ლოგიკური შედეგია. მსოფლიოს ჩემპიონებმა ფანტასტიკური ფეხბურთი გვაჩვენეს, ჩემს მოთამაშეებს კი თითქოს მათი ეშინოდათ“.

არგენტინა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ივნისში, ბრაზილიაში ელის, მაროკოს ეწვია და კილი გონსალესის გოლით მოუგო. მასპინძლებმა მეტოქესთან ვერაფერი გააწყვეს. მთელი მატჩის განმავლობაში არგენტინელები გაცილებით უკეთ თამაშობდნენ და მათ კართან ერთი ნაღდი საგოლე მომენტიც კი არ შექმნილა.

გონსალესმა მეკარის შეცდომით ისარგებლა, რომელმაც კრესპოს დარტყმული ბურთი უხეიროდ მოიგერია.

დალასში გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში ამერიკელებმა მექსიკას ბოლო წუთზე მოუგეს. ეს გუნდები მერვედ შეხვდნენ ერთმანეთს და ჩრდილოელებმა ექვსჯერ იმარჯვეს. მექსიკელებს 434 წუთის განმავლობაში მეზობლისთვის გოლი არ გაეტანათ, ამ მატჩში კი გამარჯვებისა ედი პოუპმა შეაგდო. მან სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ბურთი ოსვალდო სანჩესის კარში შეაგორა.

ჩილეში მასპინძლები ლუის ფუენტესის ზუსტი თავური დარტყმით დაწინაურდნენ, რომელიც კუთხურს მოჰყვა, მაგრამ პერუელმა ისრაელ ზუნიგამ ბოლო წუთზე გაათანაბრა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ხავიერ ძანეტის არგენტინამ მაროკო გამარჯვებულმა დატოვა

**გვინეა 2:4 კოტ დივუარი**

0:1 დროგბა (8), 1:1 ფეინდუნო (12), 1:2 კ. ტურე (32), 2:2 ულარე (39), 2:3 კალუ (45), 2:4 ბაკარი (68)

**განა 1:1 ანგოლა**

0:1 ფოფანა (55), 1:1 მორგანი (90)

**ნამიბია 0:0 ბოტსვანა**

**კოლუმბია 2:0 სალვადორი**

1:0 რეი (52), 2:0 ოვიედო (61)

**ჰონდურასი 1:1 ეკვადორი**

1:0 კარლოს პავონი (32), 1:1 ორდონესი (82)

**სამხრეთ კორეა 0:0 პარაგვაი**

**სომხეთი 1:0 თურქმენეთი**

1:0 არა აკოფიანი (68)

**ისრაელი 1:1 მოლდოვა**

1:0 კოვალენკო (32ს.კ.), 1:1 როგაჩოვი (69)

**ბულგარეთი 3:0 კამერუნი**

1:0, 2:0 ბერბატოვი (7, 54პ), 3:0 ლაზაროვი (56)

**პოლონეთი 0:0 ირლანდია**

**ბელარუსი 1:0 ლიტვა**

1:0 ბლიზნიუკი (76)

**ლატვია 0:0 ისლანდია**

**ალჟირი 0:1 ჩინეთი**

0:1 ჟან ბო (26)

**ნორვეგია 3:2 რუსეთი**

1:0 ანდრესენი (25), 2:0 რუშფელდტი (43), 3:0 სოლი (62), 3:1 რადიმოვი (85), 3:2 კირიჩენკო (90)

**ბოსნია 1:0 ფინეთი**

1:0 მისიმოვიჩი (88)

**მაკედონია 0:1 ხორვატია**

0:1 კლასნიჩი (34)

**ტუნისი 1:0 მალი**

1:0 ჯედიდი (56)

**შვეიცარია 2:1 სლოვენია**

0:1 ზაჰოვიჩი (45), 1:1 სელესტინი (66), 2:1 ჰ. იაკინი (85)

**ავსტრია 4:1 ლუქსემბურგი**

1:0 კირხლერი (5), 2:0 კისენებნერი (9), 2:1 ჰუსი (63), 3:1 მ. ჰაასი (85), 4:1 კოლმანი (89)

**სან მარინო 1:0 ლიხტენშტაინი**

1:0 ენდი სელვა (5)

**ჩრდ. ირლანდია 1:1 სერბეთი**

0:1 პაუნოვიჩი (7), 1:1 ჯ. ქუინი (18)

**გენგამი (საფრ.) 0:1 სენეგალი**

0:1 დ. კამარა (43)

**ეგვიპტე 0:0 კონგოს დრ**

**იამაიკა 2:1 ვენესუელა**

## საფრანგეთი

### თასის ნახევარფინალი

**ნანტი 1:1დ.დ.(პენ.3:4, 1:1) პსჟ**

0:1 ფიორეზე (50), 1:1 იეპესი (90)

**შატორუ 2:0 დიჟონი**

1:0 რუდე (3), 2:0 გაი (37)

*ფინალში 29 მაისს სენ დენის „სტად დე ფრანსზე“ პსჟ და „შატორუ“ შეხვდებიან*



პსჟ-ს კაპიტან ფრედერიკ დეუს ენითაუწერელი სიხარული

# ნანტი და პენალტი?

პსჟ-მ „ნანტს“ პენალტებში აჯობა და საფრანგეთის თასის ფინალში გავიდა. ნანტელები ორი კვირის წინ „სოშოსთან“ ლიგის თასის ფინალშიც პენალტებით დამარცხდნენ.

პარიზელებმა მატჩის მეორე ტაიმში უკეთ ითამაშეს, მასპინძლებს კი შესვენებამდე ჰქონდათ რამდენიმე კარგი საგოლე მომენტი.

ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის გუნდი ფაბრის ფიორეზეს წყალობით დაწინაურდა. ფიორეზემ სორინის პასით ლანდროს ახლოდან გაუტანა.

შეხვედრის მიწურულს სტუმრებმა მეტოქე რამდენჯერმე კონტრშეტევაზე გამოიჭირეს, მაგრამ ხელსაყრელი ეპიზოდები ვერ გამოიყენეს, რისთვისაც ისინი მარიო იეპესმა დასაჯა. და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა. ნახევარი საათიც უგოლოდ მიილია, პენალტების სერიაში კი პსჟ-მ იყოჩაღა. მეთიუ ბერსონმა და ემერს ფაემ ბურთი კარს ააცილეს, და როშას დარტყმული ლიონელ ლეტიზიმ მოიგერია, ხოლო გამარჯვების გოლი კამერუნელმა მოდესტ მბამიმ გაიტანა.

პარიზელები საფრანგეთის თასის ფინალში „შატორუს“ შეხვდებიან, რომელიც მესამედივიზიონელ „დიჟონს“ პირველივე ტაიმში იოლად გაუსწორდა.

პსჟ ჩემპიონატს ოთხეულში თუ დაამთავრებს და, ეს ალბათ ასეც იქნება, „შატორუ“ უეფას თასზე ითამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სასაცილო და სულელური

## ულიე მკლავებს მოიჭრის

„**ლივერპულის**“ მენეჯერმა ჟერარ ულიემ სწრაფად უარყო გუშინ გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, რომ სტივენ ჯერარდი „არსენალში“ ან „მანჩესტერში“ გადავა.

ულიემ „სასაცილო და სულელური“ უწოდა ჯერარდისა და მაიკლ ოუენის მიერ „ლივერპულის“ შესაძლო დატოვების ამბავს.

„სტივი ზღაპრული ფეხბურთელია. ჩვენ განსაკუთრებული გეგმა გვაქვს მისთვის, რათა უფრო მაღალ დონეზე ითამაშოს. უმალ ორივე მკლავს მოვიჭრი და მას არ გავუშვებ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი კაპიტანია“. ოუენი კი ახალ კონტრაქტზე ელაპარაკება თავის კლუბს. ძველი კონტრაქტი გაის ამ დროს უთავდება და კლუბს სურს, რომ ის მეტი დროით შეინარჩუნოს.

„მეწყინება, თუ მაიკლი წავა. მას ყველაფერი წინა აქვს. მასთან ვისაუბრეთ და მის „ლივერპულში“ დარჩენას კარგი პირი უჩანს“, — თქვა ულიემ.

**ირაკლი გამყრელიძე**



ჟერარ ულიე სტივენ ჯერარდს ვერ ელევა

# ხელფასიანი ლაწირაკი

## მამა, მე გავხდები მწვრთნელი



*თხუთმეტი წლისა იყო ჟოზე მაურინიუ, როდესაც მამას თვალებში შეხედა და უთხრა: მე მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი უნდა გამოვიდე.*

*ფელიქს მაურინიუ დღეს 67 წლისაა და ეს ამბავი მკაფიოდ ახსოვს. ის თავად მწვრთნელი იყო. სხვათა შორის, ფელიქსს ეჭვი არ შეპარვია, რომ შვილი მის კვალს შეიძლებოდა წარმატებით გაჰყოლოდა.*

*„ზე ყოველთვის ძლიერი პიროვნება იყო, ქედმაღლობა კი არასდროს შემიმჩნევია. რისი თქმაც უნდა, ჩვეულებრივ ამბობს და არაფრის ეშინია. მოკლედ, არასდროს შემპარვია ეჭვი, რომ მისგან კარგი მწვრთნელი გამოვიდოდა, ყოველთვის მხარს ვუჭერდი“ — ამბობს ის.*

და ჟოზე მაურინიუ დღეს ევროპის ყველაზე მოდურ სპეციალისტადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. მიზეზი: მან „პორტუ“ ზედიზედ ორჯერ გახადა პორტუგალიის ჩემპიონი, შარშან უეფას თასი მოიპოვა, ხოლო ახლა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშია.

მომავალი სეზონიდან ჟოზე მაურინიუ „ჩელსის“ ჩაუდგება სათავეში, პრემიერლიგაში არსენ ვენგერსა და ალექს ფერგიუსონთან ბრძოლაში შეეცდება თავისი ნიჭიერების წარმოჩენასა და დამტკიცებას. ეს ცხადია, საამაყოა, მაგრამ რთულიცაა, რადგან „ჩელსის“ რუსი პატრონი, რომან აბრამოვიჩი დაუყოვნებლივ შედეგს ითხოვს. ლონდონში მაურინიუს გუნდის დასაყენებლად წლებს არავინ მისცემს.

დედა, ჟულია მარია იგონებს, რომ მისი შვილი იმთავითვე ჯიუტი იყო და მიზანს არ უხვევდა:

„მახსოვს, ბავშვობაში ხელი რომ მოიტეხა, მაინც ითამაშა ფეხბურთი. აკრძალული ჰქონდა, მაგრამ ბიჭებმა გამოიწვიეს. მანაც მეორე ხელი მოიტეხა“.

კიდევ, დედას ახსოვს, როგორ ამჟღავნებდა ჟოზე ლიდერის თვისებებს ჯერ კიდევ სკოლაში.

„უამრავი მეგობარი ჰყავდა, ყოველთვის ძალიან ღია და მის გარშემო შემოკრებილი ჯგუფის ლიდერი იყო“.

რაც შეეხება ფეხბურთელობას... 17-18 წლისა რომ იყო, „რიუ ავეს“ შემადგენლობაში, ერთი-ორჯერ ბოლო წუთებზე შეუშვეს მოედანზე. სხვა საქმეა, რომ 16 წლისას „ვიტორია სეტუბალი“ უკვე ხელფასს უხდიდა, როგორც სელექციონერს. „ვიტორიას“ მწვრთნელი მაშინ მამამისი, ფელიქსი იყო და შვილს ტაქტიკის შერჩევაში იშველიებდა.

ფელიქსი: „საშუალო ნიჭის, არაფრით გამორჩეული მოთამაშე იყო, ფეხბურთელობისთვის აშკარად არ გახლდათ გაჩენილი, მაგრამ 15 წლისამ რომ მითხრა, მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი უნდა გამოვიდეო, დავიჯერე, რომ ასეც მოხდებოდა, რადგან ჩვენი მეტოქეების ანალიზი დაიწყო და ამას იმდენად კარგად აკეთებდა, რომ ხელფასიც დავუნიშნეთ“.

შემდეგ, მაურინიუმ ფსიქოლოგიაში ხარისხი დაიცვა და უეფას სამწვრთნელო ლიცენზიაც მიიღო, თუმცა განსაკუთრებული, საეტაპო ნაბიჯი 1992 წელს გადადგა, როდესაც ლისაბონის „სპორტინგში“ ინგლისელი ბობი რობსონის თარჯიმნად და თანაშემწედ დადგა. შემდეგ იგი რობსონს ჯერ პორტუში წაჰყვა, ხოლო ბოლოს „ბარსელონაში“.

პირველი დიდი, დამოუკიდებელი სამუშაო ჟოზე მაურინიუმ ლისაბონის „ბენფიკაში“ გასწია, თუმცა კონტრაქტზე ვერ შეთანხმდა და იქაურობას მალე დაანება თავი. შემდეგ 19 შეხვედრის განმავლობაში „ლეირიას“ ედგა სათავეში, 2002 წელს „პორტუში“ გადავიდა, ხოლო ამ ზაფხულიდან... ვნახოთ, „ჩელსიში“ რას იზამს.

**ბაჩუნა ძიძია**



ფელიქს და ჟოზე მაურინიუები

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „პორტსმუთის“ ხელმძღვანელობას სურს, რუსეთის ნაკრების ნახევარმცველი ალექსეი სმერტინი კიდევ ერთი სეზონით ითხოვოს. „ძალიან გვინდა, სმერტინმა მომავალი სეზონიც აქ გაატაროს. ამის შესახებ „ჩელსის“ უკვე მოვახსენეთ, მაგრამ სანამ „არისტოკრატების“ მწვრთნელის საკითხი არ გაირკვევა, პასუხი, ვეჭვობ, დაგვიანდება. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რას იტყვის თავად ალექსეიც“ — განაცხადა „პორტსმუთის“ აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ სთორიმ.

**გერმანული** „ჰანზას“ თავდამსხმელი მარტინ მაქსი სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას აპირებს. მაქსმა როსტოკულ კლუბში წესით, კიდევ ერთი სეზონი უნდა გაატაროს, მაგრამ ფიქრობს, რომ ხელმძღვანელობა მის თხოვნას გაითვალისწინებს და კონტრაქტს გაუბათილებს. „თამაში აღარ შემიძლია. ვგრძნობ, რომ ფიზიკურად და მორალურად გამოვიფიტე“ — აღნიშნა ფორვარდმა.

**იტალიური** „რომა“ შესაძლოა მცველ ფილიპ მექსესით გაძლიერდეს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ დედაქალაქელებს ვალტერ სამუელი დატოვებს. ჰოდა, კლუბის ხელმძღვანელობას არგენტინელის მექსესით შეცვლა განუზრახავს. „ოსერის“ მცველს უკვე კარგა ხანია, არაერთი გრანდი აკვირდება, მაგრამ იტალიური პრესა ფავორიტად „რომას“ მიიჩნევს. მიზეზად კი კლუბის გენერალური დირექტორის, ფრანკო ბალდინისა და მექსესის ოჯახის ახლო ურთიერთობა სახელდება.

**თურქეთის** ნაკრების ყოფილ თავკაც შენოლ გიუნეშს სამხრეთ კორეის ნაკრების გაწვრთნა სურს: „თუ აზიელები გადაწყვეტენ, რომ მათი ამოცანების შესრულება შემიძლია და კონტრაქტს შემომთავაზებენ, სიამოვნებით დავთანხმდები. ჯერჯერობით არავინ შემხმიანებია, მაგრამ თუ კორეელები დამიკავშირდებიან, კონტრაქტს დაუყოვნებლივ გავაფორმებ“ — დასძინა გიუნეშმა.

**გერმანულ** „ბაიერნს“ მომავალ სეზონშიც ოტმარ ჰიცფელდი გაწვრთნის. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება მიუნხენელთა პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ გააკეთა. ჰიცფელდი ლონდონის „ჩელსის“ სავარაუდო მწვრთნელთა სიაში იყო, მაგრამ „ბაიერნმა“ თადარიგი აქედანვე დაიჭირა. გავრცელებული ინფორმაციით, ჰიცფელდი მალე ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

**ნორვეგიელი** იონ კარეუ „რომაში“ აღარ დარჩება, მაგრამ არც „ვალენსიაში“ დაბრუნდება. „რომაელთა ფინანსური კრიზისი მაინცდამაინც ვერ მაიმედებს. „ვალენსია“ 5 მილიონ ევროს ითხოვს, მაგრამ არა მგონია, „რომას“ ამ თანხის დაფარვა შეეძლოს. თუ ფრანკო სენსი, კლუბის პრეზიდენტი უახლოეს მომავალში ვერ გადამარწმუნებს, კარიერას ინგლისში გავაგრძელებ, ესპანეთში დაბრუნებაზე კი მერე ვიფიქრებ“ — განაცხადა კარეუმ.

## Copa Toyota Libertadores '2004

### პლეი ოფი

**სან კაეტანო (ბრაზილია) 2:2(პენ.4:2) ინდეპენდიენტე (არგენტინა)**

0:1 ხაირო კასტილიო (6), 1:1 ა. ლიმა (7), 2:1 მარსინიო (31პ), 2:2 ფრანკო (71)

*მერვედფინალში „სან კაეტანო“ შეხვდება მექსიკურ „ამერიკას“*

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVI ტური** | | | |
| | | **1 მაისი** | | | |
| 16.30 | 035 | არსენალი-ბირმინგემი | 1,4 | 4,0 | 7,5 |
| 19.00 | 036 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 3,8 | 3,3 | 1,85 |
| 19.00 | 037 | ჩარლტონი-ლესტერი | 1,7 | 3,4 | 4,4 |
| 19.00 | 038 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,45 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 039 | სიტი-ნიუკასლი | 2,7 | 3,1 | 2,45 |
| 19.00 | 040 | პორტსმუთი-ფულემი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 041 | ვულვერჰემპტონი-ევერტონი | 2,5 | 3,2 | 2,5 |
| | | **2 მაისი** | | | |
| 18.00 | 042 | ბოლტონი-ლიდსი | 2,25 | 3,4 | 2,6 |
| 19.00 | 043 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 1,65 | 3,4 | 5,0 |
| 20.05 | 044 | ლივერპული-მიდლსბრო | 1,5 | 3,6 | 6,5 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXXXV ტური** | | | |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 23.45 | 076 | შეფილდი-იფსვიჩი | 2,3 | 3,2 | 2,8 |
| | | **1 მაისი** | | | |
| 19.00 | 077 | ბრედფორდი-სტოკი | 2,6 | 3,3 | 2,35 |
| 19.00 | 078 | კარდიფი-უიმბლდონი | 1,4 | 4,0 | 7,5 |
| 19.00 | 079 | კრისტალ პალასი-უოლსოლი | 1,4 | 3,8 | 7,5 |
| 19.00 | 080 | ჯილინგემი-ქოვენთრი | 1,7 | 3,5 | 4,2 |
| 19.00 | 081 | ნორვიჩი-პრესტონი | 1,4 | 3,8 | 7,5 |
| 19.00 | 082 | ნოტინგემი-უიგანი | 2,8 | 3,2 | 2,25 |
| 19.00 | 083 | რედინგი-ვესტ ჰემი | 2,35 | 3,3 | 2,6 |
| 19.00 | 084 | როტერჰემი-ბარნლი | 2,15 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 085 | სანდერლენდი-ქრიუ | 1,4 | 4,0 | 7,0 |
| 19.00 | 086 | ვესტ ჰემი-უოტფორდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 21.35 | 087 | დერბი-მილუოლი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| | | **ინგლისი** | | | |
| | | **II დივიზიონი. XXXXV ტური** | | | |
| | | **1 მაისი** | | | |
| 19.00 | 090 | ბლეკპული-პიტერბრო | 2,8 | 3,3 | 2,35 |
| 19.00 | 091 | ბორნმუთი-სტოკპორტი | 2,1 | 3,2 | 3,0 |
| 19.00 | 092 | ბრაიტონი-ნოტსი | 1,15 | 5,0 | 10,0 |
| 19.00 | 093 | კოლჩესტერი-რაშდენი | 1,85 | 3,4 | 3,2 |
| 19.00 | 094 | გრიმსბი-ბრენტფორდი | 2,25 | 3,2 | 2,8 |
| 19.00 | 095 | ჰარტლპული-პლიმუთი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 096 | ლუტონი-უენსდი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 19.00 | 097 | ოლდემი-ჩესტერფილდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 098 | პორტ ვეილი-ტრანმერი | 1,75 | 3,4 | 3,8 |
| 19.00 | 099 | ქუინზ პარკი-სუინდონი | 1,7 | 3,4 | 4,2 |
| 19.00 | 100 | უიკომბი-რექსემი | 2,4 | 3,2 | 2,5 |

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 მაისი** | | | |
| 19.00 | 101 | ბარნსლი-ბრისტოლი | 3,4 | 3,4 | 1,7 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXXXV ტური** | | | |
| | | **1 მაისი** | | | |
| 19.00 | 104 | ბოსტონი-დონკასტერი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 105 | როვერსი-ლინკოლნი | 3,0 | 3,2 | 2,15 |
| 19.00 | 106 | კემბრიჯი-სკანთორპი | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 19.00 | 107 | კარლაილი-ჩელტენემი | 1,55 | 3,6 | 4,4 |
| 19.00 | 108 | დარლინგტონი-სუონსი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 109 | ჰადერსფილდი-მენსფილდი | 1,7 | 3,4 | 4,2 |
| 19.00 | 110 | მაკლსფილდი-ოქსფორდი | 2,35 | 3,4 | 2,45 |
| 19.00 | 111 | ნორთჰემპტონი-ბერი | 1,35 | 4,2 | 7,0 |
| 19.00 | 112 | როჩდეილი-საუთენდი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 113 | ტორკი-კიდერმინსტერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 19.00 | 114 | იოვილი-ჰალი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 115 | იორკი-ლეიტონი | 2,5 | 3,1 | 2,35 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXV ტური** | | | |
| | | **1 მაისი** | | | |
| 19.00 | 121 | დანდი იუნაიტედი-ჰართსი | 2,45 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 122 | ჰიბერნიანი-დანდი | 2,1 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 123 | კილმარნოკი-ლივინგსტონი | 2,2 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 124 | პარტიკი-აბერდინი | 2,5 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 125 | რეინჯერსი-მოზერუელი | 1,22 | 5,0 | 9,0 |
| | | **2 მაისი** | | | |
| 19.00 | 126 | სელტიკი-დანფერმლაინი | 1,2 | 5,0 | 10,0 |
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXXI ტური** | | | |
| | | **1 მაისი** | | | |
| 18.30 | 045 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 2,15 | 2,9 | 3,4 |
| 18.30 | 046 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1,7 | 3,5 | 4,2 |
| 18.30 | 047 | კაიზერსლაუტერნი-მიონხენგლადბახი | 1,95 | 3,1 | 3,8 |
| 18.30 | 048 | დორტმუნდი-ჰანზა | 1,4 | 4,0 | 7,5 |
| 18.30 | 049 | მიუნხენი-ლევერკუზენი | 3,0 | 3,3 | 2,2 |
| 18.30 | 050 | კიოლნი-ბაიერნი | 7,5 | 4,4 | 1,3 |
| 18.30 | 051 | ვერდერი-ჰამბურგი | 1,5 | 3,6 | 6,5 |
| 18.30 | 052 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1,6 | 3,4 | 5,6 |
| | | **2 მაისი** | | | |
| 20.30 | 053 | შალკე-ჰერტა | 1,85 | 3,3 | 3,5 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXI ტური** | | | |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 22.00 | 147 | ალემანია-ოსნაბრიუკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 22.00 | 148 | ლიუბეკი-მაინცი | 2,15 | 3,1 | 3,1 |
| 22.00 | 149 | ტრირი-ალენი | 2,0 | 3,2 | 3,4 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 მაისი** | | | |
| 18.00 | 150 | ფიურტი-აუე | 1,9 | 3,2 | 3,4 |
| 18.00 | 151 | დუისბურგი-კოტბუსი | 2,5 | 3,1 | 2,5 |
| 18.00 | 152 | უნტერჰახინგი-ბურგჰაუზენი | 2,0 | 3,1 | 3,5 |
| 18.00 | 153 | რეგენსბურგი-კარლსრუე | 2,2 | 3,0 | 3,2 |
| 18.00 | 154 | უნიონი-ობერჰაუზენი | 2,4 | 3,3 | 2,4 |
| | | **3 მაისი** | | | |
| 23.15 | 155 | არმინია-ნიურნბერგი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **იტალია. სერია A** | | | |
| | | **XXXII ტური** | | | |
| | | **2 მაისი** | | | |
| 18.00 | 056 | ლაციო-რეჯინა | 1,35 | 4,0 | 8,0 |
| 18.00 | 057 | ლეჩე-ინტერი | 3,4 | 2,9 | 2,15 |
| 18.00 | 058 | მილანი-რომა | 2,2 | 2,9 | 3,4 |
| 18.00 | 059 | პარმა-ანკონა | 1,02 | 7,0 | 15,0 |
| 18.00 | 060 | პერუჯა-იუვენტუსი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 18.00 | 061 | სამპდორია-უდინეზე | 2,05 | 2,9 | 3,8 |
| 18.00 | 062 | სიენა-ბრეშა | 2,15 | 2,4 | 4,0 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXV ტური** | | | |
| | | **1 მაისი** | | | |
| 23.00 | 063 | ატლეტიკო-სელტა | 2,05 | 3,2 | 3,3 |
| 01.00 | 064 | დეპორტივო-რეალი | 3,0 | 3,2 | 2,25 |
| | | **2 მაისი** | | | |
| 20.30 | 065 | მურსია-ვალიადოლიდი | 3,6 | 3,2 | 1,7 |
| 20.30 | 066 | მალიორკა-მალაგა | 1,85 | 3,2 | 3,8 |
| 20.30 | 067 | ალბასეტე-სარაგოსა | 2,35 | 3,0 | 3,0 |
| 20.30 | 068 | სევილია-ბილბაო | 2,15 | 3,1 | 3,3 |
| 20.30 | 069 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1,8 | 3,2 | 4,2 |
| 21.00 | 070 | ოსასუნა-რასინგი | 2,0 | 3,1 | 3,5 |
| 22.30 | 071 | ვალენსია-ბეტისი | 1,35 | 4,0 | 8,0 |
| 00.30 | 072 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1,35 | 4,0 | 8,0 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXIV ტური** | | | |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 23.30 | 229 | ნიცა-მონაკო | 3,1 | 3,1 | 2,25 |
| | | **1 მაისი** | | | |
| 20.15 | 230 | მარსელი-მეცი | 1,6 | 3,5 | 5,3 |
| 23.00 | 231 | აიაჩო-გენგამი | 2,1 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 232 | ლე მანი-ოსერი | 3,1 | 3,1 | 2,25 |
| 23.00 | 233 | ლანსი-ტულუზი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.00 | 234 | ნანტი-ლილი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 235 | რენი-ბასტია | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 236 | სოშო-მონპელიე | 1,55 | 3,3 | 5,6 |
| 23.00 | 237 | სტრასბური-პსჟ | 3,6 | 3,1 | 2,0 |
| | | **2 მაისი** | | | |
| 23.45 | 238 | ბორდო-ლიონი | 3,4 | 3,2 | 2,05 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXXII ტური** | | | |
| | | **1 მაისი** | | | |
| 22.30 | 275 | დენ ჰააგი-ჰერენვენი | 2,3 | 3,3 | 2,7 |
| 22.30 | 276 | ტილბურგი-როზენდალი | 1,85 | 3,3 | 3,8 |
| 23.00 | 277 | ტვენტე-როდა | 2,0 | 3,3 | 3,4 |

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 მაისი** | | | |
| 15.30 | 279 | ზვოლე-აიაქსი | 5,0 | 3,8 | 1,55 |
| 17.30 | 280 | ვოლენდამი-პსვ | 6,5 | 4,4 | 1,35 |
| 17.30 | 281 | ვიტესი-ნაიმეგენი | 2,0 | 3,3 | 3,4 |
| 17.30 | 282 | ვალვაიკი-უტრეხტი | 2,05 | 3,1 | 3,5 |
| 17.30 | 283 | ფეიენოორდი-გრონინგენი | 1,05 | 6,0 | 14,0 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXXII ტური** | | | |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 23.30 | 297 | ბეერსხოტი-ლოკერენი | 2,0 | 3,2 | 3,4 |
| | | **1 მაისი** | | | |
| 21.00 | 298 | ბრიუგე-სტანდარდი | 1,9 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 299 | ვესტერლო-ლიერსი | 1,9 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 300 | შარლერუა-მუსკრონი | 2,45 | 3,3 | 2,45 |
| 23.00 | 301 | გენტი-ანტვერპენი | 1,95 | 3,2 | 2,8 |
| | | **2 მაისი** | | | |
| 18.00 | 302 | ბევერენი-სერკლი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.00 | 303 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 2,25 | 3,0 | 3,5 |
| 18.00 | 304 | ჰეუსდენი-მონსი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 305 | ანდერლეხტი-გენკი | 1,55 | 3,6 | 5,6 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | |
| | | **XXXIII ტური** | | | |
| | | **1 მაისი** | | | |
| 18.30 | 319 | ადმირა-პაშინგი | 2,8 | 3,2 | 2,25 |
| 18.30 | 320 | ბრეგენცი-კერნტენი | 1,75 | 3,4 | 3,6 |
| 18.30 | 321 | გრაცერი-ზალცბურგი | 1,35 | 4,0 | 8,0 |
| 18.30 | 322 | მატერსბურგი-შტურმი | 2,25 | 3,0 | 3,2 |
| | | **2 მაისი** | | | |
| 19.30 | 323 | რაპიდი-აუსტრია | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. XXXII ტური** | | | |
| | | **1 მაისი** | | | |
| 22.30 | 331 | აარაუ-იანგ ბოიზი | 2,5 | 3,4 | 2,3 |
| 22.30 | 332 | ვილი-სერვეტი | 2,5 | 3,3 | 2,35 |
| 22.30 | 333 | ქსამაქსი-სტ.გალენი | 1,85 | 3,4 | 3,4 |
| | | **2 მაისი** | | | |
| 19.15 | 334 | თუნი-ბაზელი | 3,6 | 3,3 | 1,85 |
| 19.15 | 335 | ციურიხი-გრასჰოპერი | 2,35 | 3,2 | 2,7 |
| | | **დანია. სუპერლიგა. XXVIII ტური** | | | |
| | | **1 მაისი** | | | |
| 20.00 | 350 | ოდენსე-კოპენჰაგენი | 2,7 | 3,3 | 2,3 |
| | | **2 მაისი** | | | |
| 18.00 | 351 | ოლბორგი-აკადემისკი | 1,3 | 4,6 | 8,0 |
| 18.00 | 352 | ესბიერგი-ვიბორგი | 1,5 | 3,6 | 6,0 |
| 18.00 | 353 | ნორდსიელანდი-ფრემი | 1,85 | 3,3 | 3,6 |
| 18.00 | 354 | ჰერფიოლგე-მიდტიულანდი | 2,7 | 3,3 | 2,3 |
| 20.35 | 355 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1,35 | 4,0 | 8,0 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. V ტური** | | | |
| | | **2 მაისი** | | | |
| 20.00 | 370 | კალმარი-სუნდსვალი | 1,8 | 3,3 | 4,0 |
| 20.00 | 371 | ლანდსკრონა-იურგორდენი | 3,4 | 3,3 | 2,0 |
| 20.00 | 372 | იორებრო-ჰამარბი | 2,7 | 3,2 | 2,4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | 3 მაისი | | | |
| 22.00 | 373 | ტრელებორგი-მალმიო | 3,8 | 3,3 | 1,85 |
| 22.00 | 374 | აიკ-ჰალმსტადი | 3,4 | 3,3 | 2,0 |
| 22.00 | 375 | ელფსბორგი-ჰელსინგბორგი | 2,5 | 3,2 | 2,5 |
| | | შვედეთი. სუპერეტა. III ტური | | | |
| | | 1 მაისი | | | |
| 19.00 | 379 | ფრიოლუნდა-ფალკენბერგი | 1,4 | 4,2 | 6,0 |
| | | 2 მაისი | | | |
| 18.10 | 380 | ვესტეროსი-ჰეკენი | 3,2 | 3,3 | 2,0 |
| 19.00 | 381 | ბოდენსი-ასირისკა | 2,15 | 3,4 | 2,8 |
| 19.00 | 382 | ბრაგე-ფრისკა | 1,6 | 3,6 | 4,6 |
| 19.00 | 383 | ოპერა-იოსტერსი | 2,3 | 3,3 | 2,6 |
| 19.00 | 384 | გაის-ბრომაპოიკარნა | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 19.00 | 385 | გეფლე-ატვიდაბერგი | 2,25 | 3,3 | 2,7 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა. IV ტური | | | |
| | | 1 მაისი | | | |
| 19.00 | 388 | ვიკინგი-მოლდე | 2,1 | 3,3 | 3,2 |
| | | 2 მაისი | | | |
| 21.00 | 389 | ბოდიო გლიმტი-ჰამარი | 1,65 | 3,4 | 5,0 |
| 21.00 | 390 | ლინი-სოგნდალი | 1,7 | 3,5 | 4,4 |
| 21.00 | 391 | ბრანი-ოდ გრენლანდი | 1,9 | 3,4 | 3,5 |
| 21.00 | 392 | სტაბეკი-ტრომსიო | 2,25 | 3,4 | 2,8 |
| 23.05 | 393 | ლილესტრიომი-რუსენბორგი | 3,6 | 3,4 | 1,85 |

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | 3 მაისი | | | |
| 22.00 | 394 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 2,7 | 3,3 | 2,35 |
| | | ირლანდია. პრემიერლიგა. IX ტური | | | |
| | | 30 აპრილი | | | |
| 23.45 | 407 | ბოჰემიანი-კორკი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.45 | 408 | დროგედა-ლონგფორდი | 2,25 | 3,2 | 2,8 |
| 23.45 | 409 | შემროკი-დუბლინი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.45 | 410 | შელბურნი-სტ.პატრიკსი | 1,65 | 3,3 | 4,8 |
| | | 1 მაისი | | | |
| 23.30 | 411 | დერი-უოტერფორდი | 2,35 | 3,2 | 2,6 |
| | | საბერძნეთი. I დივიზიონი. XXVIII ტური | | | |
| | | 2 მაისი | | | |
| 21.00 | 415 | პანათინაიკოსი-აკრატიტოსი | 1,05 | 7,0 | 16,0 |
| 21.00 | 417 | პანიონიოსი-პაოკ | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 21.00 | 419 | ხალკიდონა-ოლიმპიაკოსი | 7,0 | 3,8 | 1,4 |
| 21.00 | 420 | ქსანთი-აეკ | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| | | რუსეთი. პრემიერლიგა. IX ტური | | | |
| | | 1 მაისი | | | |
| 16.00 | 434 | ამკარი-შინიკი | 2,35 | 2,7 | 3,2 |
| 16.00 | 435 | ყუბანი-ალანია | 2,0 | 2,8 | 4,0 |
| 16.00 | 436 | როსტოვი-ლოკომოტივი | 4,8 | 3,4 | 1,65 |
| 16.00 | 437 | როტორი-ცსკა | 5,0 | 3,5 | 1,6 |
| 16.00 | 438 | სპარტაკი-ზენიტი | 2,0 | 3,0 | 3,6 |
| | | 2 მაისი | | | |
| 16.00 | 439 | დინამო-კრილია | 2,0 | 2,8 | 4,0 |
| 16.00 | 440 | სატურნი-მოსკოვი | 1,6 | 3,4 | 5,3 |
| 16.00 | 441 | ტორპედო-რუბინი | 1,55 | 3,5 | 5,6 |

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# GENS UNA SUMUS? უკუღმა თამაში



კირსან ილუმჟინოვი

საქმის არსში გასარკვევად და ობიექტური სურათის შესაქმნელად რამდენიმე ფაქტს და მეტნაკლებად ცნობილ ისტორიას შევახსენებთ. შარშან, შემოდგომაზე, ნინო გურიელის ინიციატივით, ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის თანხმობით და ზურაბ აზმაიფარაშვილის პირით საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ოფიციალურად მიმართა ფიდე-ს ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საქართველოში გამართვის თაობაზე. ფიდე-მ მოიწონა ქართული მხარის წინადადება და ეს გააკეთა 2003 წლის 2 ნოემბერს საბერძნეთში გამართულ კონგრესზე. მაგრამ იმავე 2 ნოემბერს საქართველოში აგორებულმა რევოლუციამ ჯერ შევარდნაძის ხელისუფლება დაასამარა, მოგვიანებით კი ცვლილებები თავად საჭადრაკო ხელისუფლებაშიც მოხდა: სამთავრობო ბლოკის სიით და თხუთმეტი წუთით გადეპუტატებული ნინო გურიელი წავიდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან (ამის მიზეზი არ ყოფილა მისი პოლიტიკური ორიენტაცია), მაგრამ პოსტზე დარჩა თანაპრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი. გურიელის ადგილი აქამდე ნაკლებად ცნობილმა მოჭადრაკემ კახა ჩიგოგიძემ დაიკავა, რომელსაც, როგორც ჩანს, ქართულ საჭადრაკო დაფაზე დამოუკიდებლად სვლების გაკეთება ჯერჯერობით უჭირს. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს რეალური ძალაუფლება მთლიანად აზმაიფარაშვილის ხელშია. ბატონი ზურაბი, მოგეხსენებათ, ჭადრაკშიც და ჭადრაკგარე საქმეებშიც გაწაფული კაცია. მისი ალმავალი ჩინოვნიკური კარიერა მნიშვნელოვნად განაპირობა ბათუმის მოულოდნელმა „საჭადრაკო ალტკინებამ“, ამ რამდენიმე წლის წინ ასლან აბაშიძემ დიდი საჭადრაკო პარტია წამოიწყო და თანაშემწედ აზმაიფარაშვილი დაიყენა. ეს საქმე ორივე მხარისთვის სასურველი შედეგით დასრულდა: ბათუმი ერთ-ერთ საჭადრაკო ცენტრად მოგვევლინა, აზმაიფარაშვილი — ფიდე-ს მაღალი რანგის მოხელედ და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ახალშექმნილი საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტად.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში პოლიტიკური ვითარება რადიკალურად შეიცვალა და მსოფლიო ჩემპიონატის ბედი ჰაერში გამოეკიდა. როცა აზმაიფარაშვილს ახალი ხელისუფლების იმედი საბოლოოდ გადაეწურა, დახმარება აბაშიძეს სთხოვა: თბილისი ჩემპიონატისთვის ბიუჯეტის ფულს ვერ იმეტებს, ილუმჟინოვი კი სასწრაფო პასუხს ითხოვს, ქართული ჭადრაკის პრესტიჟის გადარჩენა ისევ თქვენ მოგიწევთო. გულმოწყალე ასლან აბაშიძემ ამ საქმისთვის საჭირო „სულ რაღაც“ მილიონნახევარი ლარი სასწრაფოდ გამოაჩინა და ფიდე-ს პრეზიდენტის კირსან ილუმჟინოვის თანდასწრებით ბათუმი მსოფლიოს ქალთა ჭადრაკის დედაქალაქად გამოაცხადა. ამას წინ უძღოდა ერთი საინტერესო ამბავი: აზმაიფარაშვილმა შავი ზღვის ქვეყნების საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი გიორგი აბაშიძეს გადააბარა — ამ ქვეყნებს ამიერიდან ასლანის ძე უპატრონებსო.

მოკლედ, სათქმელი ითქვა, გადასაწყვეტი გადაწყდა, მაგრამ ბათუმში მიღწეული შეთანხმება თბილისისთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა: აბა, ჭადრაკი და ტანკები ერთად ვის გაუგიაო. 15 აპრილიდან მოყოლებული, საჭადრაკო ომი დღემდე გრძელდება და ამ ბრძოლაში გამარჯვება მოპაექრე მხარეთათვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ზოგადად ჭადრაკი.

ამასობაში ბევრი „ახალი ამბავიც“ გავიგეთ. მაგალითად, ის, რომ, თურმე, ფიდე მაღალი ავტორიტეტის მქონე საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია ყოფილა, ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი კი ერთ-ერთი გამორჩეული სპორტული შეჯიბრება. როცა ამგვარი განცხადებები საჯაროდ კეთდება, საზოგადოება უფლებამოსილია არგუმენტებიც მოითხოვოს. ჩემი ინფორმაციით, ცნობა ფიდე-ს „მაღალი ავტორიტეტის“ თაობაზე ერთობ გაზვიადებულია. დრამატული, ტრაგიკული, კრიზისული, ქაოსური, კომიკური — ასე აფასებენ ექსპერტები ფიდე-ში დღეს არსებულ ვითარებას. მაგალითად, ჭადრაკის პროფესიონალთა ასოციაციის პრეზიდენტი, ფრანგი დიდოსტატი ჟოელ ლოტიე აცხადებს — „თუ ასე გაგრძელდა და მსოფლიო ჭადრაკის მართვის სადავეები კვლავ ილუმჟინოვის ხელში დარჩა, პროფესიის გამოცვლა მოგვიწევს. სიტუაცია მართლაც არანორმალურია. ჩვენ ვერ ვატარებთ მსოფლიო ჩემპიონატს, არ არსებობს კალენდარი, გაუქმდა სერიოზული ტურნირები, დარჩენილი ორი-სამი ტრადიციული ტურნირის დონე კი საგრძნობლად დაეცა.“ რუსი დიდოსტატის ვლადიმირ კრამნიკის აზრით — „ფიდე თავს ვერ ართმევს მსოფლიო ჩემპიონატის მწყობრი სისტემის ორგანიზებას. ჩვენს საქმეს განაგებს ხალხი, ვისაც ჭადრაკთან საერთო არაფერი აქვს. მე კარგად ვიცნობ ფიდე-ს მუშაობის მეთოდებს და შეცბუნებული ვარ. შესაცვლელია სტრუქტურა, ხელმძღვანელობა და მენტალიტეტი.“ ცნობილი საჭადრაკო მიმომხილველი, ჟურნალ „64“-ის რედაქტორი ალექსანდრ როშალი ეჭვობს, რომ ფიდე-ში შავი ფული ტრიალებს, მისი გერმანელი კოლეგა, „ფრანკფურტერ ალგემაინეს“ საჭადრაკო მიმომხილველი შტეფან ლიოფლერი კი წერს, რომ პროფესიულ ჭადრაკში უმძიმესი ვითარებაა; ფიდე-ს ვერსიით მსოფლიოს ბოლო ჩემპიონი და ფიდე-ს მიერვე მოძულებული რუსლან პონომარიოვი ილუმჟინოვს დიქტატორად მოიხსენიებს და ხან უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმასთან უჩივის, ხან — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგთან. ფიდე-ს გაუთავებელი „სიურპრიზებით“ აღშფოთებულია უკრაინის ჭადრაკის ფედერაცია. შარშან სტამბოლში გამართული ევროპის ჩემპიონატის ორგანიზებით უკმაყოფილო მოჭადრაკეთა დიდმა ჯგუფმა კი ილუმჟინოვს საპროტესტო წერილი აახლა. აგერ, ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანელებმა ოკუპირებულ ყარაბაღში გამართული ტურნირის გამო ერთი ამბავი ატეხეს — ეს რა იკადრა ილუმჟინოვმა, უკანონო შეჯიბრის ორგანიზატორებს და მონაწილეებს რა უფლებით მიესალმაო... არადა, ბატონი კირსანი ხმამაღლა აცხადებს — „ჩვენს ძლიერებას ვერაფერი შეარყევს, ჩვენ ერთი ოჯახი ვართ — GENS UNA SUMUS.“

ამ „ერთიანი“ საჭადრაკო ოჯახის უფროსებზე ინტერნეტგვერდებით გავრცელებულ რამდენიმე არასაჭადრაკო ცნობასაც მოგაწვდით: ილუმჟინოვმა თვითნებურად შეცვალა ყალმუხეთის კონსტიტუცია, გააუქმა მთავრობა, თვითონ დანიშნა პარლამენტის წევრთა ორი მესამედი; შარშან ილუმჟინოვი დაადანაშაულეს ყალმუხეთში რუსეთის დუმის არჩევნების გაყალბებაში. საპროტესტო აქციის დასაშლელად ელისტაში ასტრახანვოლგოგრადის ომონი ჩაიყვანეს; „სოვეტსკაია კალმიკიას“ რედაქტორის ლარისა იუდინას მკვლელობაში ბრალი დაედოთ ვოლგოგრადის ოლქში ილუმჟინოვის წარმომადგენელსა და ყოფილ მრჩეველს; რუსეთის ხელისუფლებამ ილუმჟინოვი ამხილა საბიუჯეტო სახსრების უკანონო ხარჯვასა და „ჭადრაკის დედაქალაქის“ მშენებლობისას აღმოჩენილ ფინანსურ მაქინაციებში; ილუმჟინოვს წლების განმავლობაში მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა შამილ ბასაევთან და სხვა ჩეჩენ ბოევიკებთან; ყალმუხეთის ოფშორულ ზონაში „თეთრდება“ კრიმინალური ფული... თავიდან ჩამოვთვალოთ: საკანონმდებლო თვითნებობა, ავტოკრატია, არჩევნების გაყალბება, ჟურნალისტთა დევნა, ბიუჯეტის გამარცხენება, კონტრაბანდა, მეგობრობა საეჭვო რეპუტაციის ხალხთან, თავისუფალი ეკონომიკური ზონა და... პარალელები, პარალელები.




ზურაბ აზმაიფარაშვილი და ასლან აბაშიძე

თავის დროზე ილუმჟინოვი თვით სადამ ჰუსეინს გაუშინაურდა (ასე იცის ჭადრაკის სიყვარულმა) და ერაყის წინააღმდეგ დაწესებული გაეროს სანქციების მიუხედავად, ბაღდადში გეგმავდა კასპაროვ—კამსკის გახმაურებული მატჩის გამართვას. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი იძულებული გახდა თავისი მოქალაქისთვის ერაყში შესვლა აეკრძალა.

მართალია, სადამ ჰუსეინი ჩამოაგდეს, მაგრამ ამ ქვეყანაზე რა გამოლევს დიდ და პატარა დიქტატორებს. არ არის ჰუსეინი, მაგრამ აგერ არის, ვთქვათ, მუამარ კადაფი. მოჭადრაკე კაცთა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი სწორედ კადაფის სამფლობელოში — ლიბიაში უნდა გაიმართოს.

ჭადრაკის პროფესიონალთა ასოციაციამ მკაცრად გააკრიტიკა ფიდე და მოჭადრაკეებისთვის ხელმოსაწერად შეთავაზებული კონტრაქტის პირობების გადასინჯვა მოითხოვა. იგივეს ითხოვენ აშშ-სა და პოლონეთის ჭადრაკის ფედერაციები. ამერიკელებს სხვა, არანაკლებ სერიოზული საზრუნავი გაუჩნდათ: უძლიერეს ამერიკელ დიდოსტატთა უმრავლესობა ებრაელია, ლიბიაში კი, მოგეხსენებათ, ებრაელებს არ სწყალობენ. კადაფი მზად არის, უსაფრთხოების ზომები გაამკაცროს და ჩემპიონატისთვის მილიონნახევარი დოლარი გაიღოს. რაც შეეხება ასლან აბაშიძეს, მისგან ფიდე-მ 670 ათასი დოლარი მოითხოვა და დასტურიც მიიღო. საინტერესო ამბავია: ფიდე-ს პროექტების დაფინანსება ჩვენზე ასჯერ და მეტჯერ მდიდარმა ქვეყნებმა იუარეს, ჩვენი ბიუჯეტის მაშინდელმა განმგებლებმა კი ფული არ დაინანეს. მოითხოვეთ და მიიღეთო. შევარდნაძის ბიუჯეტსეკვესტრირებული მთავრობა მზად იყო, დაეფინანსებინა ტურნირი, რომლის მასპინძლის ძებნაში ილუმჟინოვს სამი წყვილი ყალმუხური ქალამანი შემოაცვდა.

დაინტერესდით და იკითხეთ, სად და როდის ჩატარდა მოჭადრაკე ქალთა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატი, ან ვინ არის მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, დამერწმუნეთ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ზოგიერთ ჩინოვნიკსაც გაუჭირდება.

მაშ, ვინ და რატომ თქვა — ამისთანა მნიშვნელობის ტურნირი ბარე ორი არ გვეგულებაო;

ვინ და რატომ გვიმტკიცებს — თუ ჩემპიონატი ჩაგვეშალა, თავი არსად გამოგვეყოფაო.

რატომ არავინ ამბობს — თუ ამ შეჯიბრების სამასპინძლოდ თავს არავინ იწუხებს, ჩვენ რა დაგვემართა, აუტკივარი თავი რად ავიტკიეთ და ამ ისედაც არეულ-დარეულ და გალატაკებულ ქვეყანას კიდევ ერთი ტვირთი რად ავკიდეთო. ან ამ ჩვენს საყვარელ ბათუმს რა ეჭადრაკება, დაიცადოს, დაწყნარდეს ქვეყანა და მერე, თუ მოესურვება, თუნდაც გალაქტიკის ჩემპიონატს უმასპინძლოსო.

ამგვარი რამ, ჩვენი ახალი ხელისუფლების გარდა, თუ არ ვცდები, ხმამაღლა არავის უთქვამს. ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, დააგვიანა და ხმა მაშინ ამოიღო, როცა ილუმჟინოვ-აბაშიძის შეთანხმება გაფორმდა და ამის შესახებ ოფიციალურად გამოცხადდა. სწორი და უკეთესი იქნებოდა, სათქმელი მანამდე თქმულიყო — თუნდაც 14 აპრილს, თუნდაც ხელშეკრულების ხელმოწერამდე რამდენიმე საათით ადრე.

ცალკე უნდა ითქვას სახელოვან ქართველ მოჭადრაკე ქალთა შესახებ. მათი უმრავლესობა ჩემპიონატის გამართვის მომხრეა და ეს პოზიცია აბსოლუტურად გასაგებია. მაგრამ გაუგებარია და საქმესაც ვნებს ჭადრაკის იმ ქართველ ჩინოვნიკთა და იმავდროულად მოქმედ მოჭადრაკეთა პოზიცია, რომლებიც ჭადრაკს პოლიტიკური თამაშებისთვის იყენებენ. დღეს ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ „მოჭადრაკე პოლიტიკოსად“ დიდოსტატი აზმაიფარაშვილი გვევლინება. საეჭვოა, რომ მისმა ბოლოდროინდელმა ნაბიჯებმა ქართულ ჭადრაკს კეთილი სამსახური გაუწიოს. ბატონი ზურაბისა და მისი თანამოაზრეებისგან განსხვავებით, პოლიტიკური ბრძოლის იარაღად ჭადრაკის გამოყენების გამო შეშფოთებას გამოთქვამენ ამ ბრძნული (ხაზს ვუსვამ — ბრძნული) თამაშის გულშემატკივრები. აი, რას წერს ყოველდღიური ინტერნეტგაზეთი „ჭადრაკი დღეს“ (CHESS TODAY): „ჩვენ გულწრფელად ვწუხვართ, რომ ჭადრაკი ჩათრეული აღმოჩნდა ქართულ პოლიტიკურ ბრძოლაში. საჭადრაკო სამყაროსთვის საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლებულიყო კირსან ილუმჟინოვის ლიდერობისგან. ამ დაუსრულებელი აბსურდის თეატრიდან თავდასაღწევად სხვა გზა არც არსებობს.“

ილუმჟინოვი და მისი ამალა დღეს საქართველოშია. დღეს მიღებულ გადაწყვეტილებებზეც იქნება დამოკიდებული ჭადრაკის მომავალი. მაშასადამე, საქართველოს მთავრობას შანსი აქვს, თავისი წვლილი შეიტანოს მსოფლიო ჭადრაკის დემოკრატიზაციის პროცესში.

იქნებ, დიდი საჭადრაკო რევოლუციაც თბილისიდან დაიწყოს!

**ელგუჯა ბერიშვილი**
**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი**

## საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფი

მეორე წრე. ორ მოგებამდე

# სტუ მადას არ უჩივის
## ბასკო უსახლკარო და გატეხილიც სარისკოა



*ეროვნულ ჩემპიონატში დარჩენილი ნახევარფინალებიდან განსაკუთრებით „ბასკო“ — „სტუ-ჯეოსელის“ დაპირისპირება იქცევს ყურადღებას. „დინამო“ — თსუ-სთან შედარებით ეს უფრო თანაბარი წყვილია, სადაც ფავორიტი არ არსებობს, ბრძოლაც ბოლომდე იქნება და უშეღავათო. ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის მწვრთნელ ნუგზარ ჭეიშვილს სათავისო უპირატესობად მიაჩნია ის გარემოება, რომ „ბასკო“ ბათუმის ნაცვლად თბილისში ითამაშებს, თუმც ტექნიკოსთა თავკაცი მაინც წინდახედულია და ფინალში გასვლის შანსებს შუაზე ჰყოფს...*

— ვერის ბაღში ვვარჯიშობთ, „ბასკოსთან“ სათამაშოდ მთელი დატვირთვით ვემზადებით. ამ სეზონში ტრავმებმა გაგვტანჯა, თუმც ახლა სრული შემადგენლობით ვხვდებით ნახევარფინალს. მხოლოდ ერთი დანაკლისია, გულივერ ახალკაცმა „რუსთაველთან“ მეოთხედფინალურ სერიაში ტრავმა მიიღო და ჯერჯერობით ვერ გვეხმარება. არაა გამორიცხული, რომ სერიის დაწყებამდე ისიც ფორმაში ჩადგეს.

**— თქვენი გუნდი მხოლოდ ერთხელ იყო ფინალში და მაშინ სწორედ „ბასკოსთან“ წააგეთ უიმედოდ. ახლა რას იტყვით მეტოქეზე?**

— „ბასკო“ მშვენიერი გუნდია. ბათუმელებს ერთ-ერთი გამოკვეთილი გუნდი ჰყავდათ და ჩემპიონობის კანდიდატებადაც ითვლებოდნენ...

**— ახლა აღარ ითვლებიან?**

— როგორ არა, კაცმა არ იცის, რა იქნება, თუმც ისიც ფაქტია, რომ დღევანდელი „ბასკო“ ისეთი ძლიერი არაა, როგორც ბათუმში დატრიალებულ მოვლენებამდე იყო. გუნდის ერთი ნაწილი ბათუმშია, მეორე — თბილისში, მორალურადაც გატეხილები არიან. თუმც ეს ის გუნდი არაა, ვინმესთან დაიჩოქოს. ჩვენ ისე ვითამაშებთ, თითქოს ჩვეულებრივ, ძველებურად დალხენილ „ბასკოს“ ვეთამაშებოდეთ.

**— და როგორ აპირებთ თამაშს, რას დაუპირისპირებთ მეტოქეს?**

— ამის საჯაროდ გამოცხადება არასწორად მიმაჩნია. ახლა თუ ვილაპარაკე ჩემი გუნდის ტაქტიკაზე, რაღა გამოვა?!

**— მაშ, იმ უპირატესობაზე გვითხარით, რომელიც ერთმანეთის მიმართ გაგაჩნიათ, რაშია „ბასკო“ თქვენზე ძლიერი და პირიქით...**

— ჩვენი მეტოქე უფრო მობილური გუნდია. „ბასკო“ აკადემიურად, მრავალფეროვანი კომბინაციებით თამაშობს. შემადგენლობაც ჩვენზე დაბალანსებული ჰყავს — გამოკვეთილი და შემძლე ცენტრი დავით ბერძენიშვილი, რომელსაც ზურგს შეუპოვარი ჟოლივეტ ტუჯანი უმაგრებს. უკანა ხაზშიც გამართულად აქვს საქმე, ბერიშვილების ტრიოს ბურთის გათამაშებაც შეუძლია და სამქულიანების ჩაგდებაც.

**— თუ ასეა საქმე, მოუგიათ და ეგაა ბათუმელებს...**

— რატომ? ჩვენი მთავარი იარაღი სისწრაფე, შემტევი სტილია. შეიძლება, არ გვყავს „ბასკოს“ დარი სამქულიანების ოსტატები, მაგრამ ბურთს სწრაფად ვათამაშებთ და ნებისმიერ დროს შეგვიძლია შედეგიანი გარღვევა განვახორციელოთ.

**— ფარზე უპირატესობა მეტოქისაა?**

— არა, რატომ, ჩვენ ახლა ზვიად ბაბიაშვილი გამოგვიჯანმრთელდა, რომელიც, თუ ფორმაშია, ტოლს არავის დაუდებს. ის ნახევარი სეზონი ტრავმიანობდა, ახლა კი სრულ მზადყოფნაშია. ბაბიაშვილის ნაცვლად მოთამაშე ირაკლი შანიძე კი ცოტა უკან დავწიეთ, სადაც უფრო შედეგიანი იქნება. ირაკლი ჯაფარიძეც საბოლოოდ მოერგო გუნდს. ის აქამდე ცოტა გაუცხოებული იყო, ახლა კი პრობლემა აღარა აქვს. მოკლედ, ყველა პირობა არსებობს იმისა, რომ ფინალში გავიდეთ.

**— შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— ორმოცდაათი-ორმოცდაათზე.

**— თბილისში თამაში არ გაძლევთ უპირატესობას?**

— გარკვეულ უპირატესობას კი გვაძლევს, მაგრამ დიდი სხვაობაც არაა, „ბასკოს“ მოთამაშეები თბილისელები არ არიან? ჟოლივეტ ტუჯანიც კი თბილისელია უკვე...

**— ფინალში გასვლა მაქსიმუმი იქნება სტუ-სთვის?**

— ისეთ ჯარისკაცს რა ვუთხარი, რომელიც გენერლობაზე არ ფიქრობსო... მადა ჭამაში მოდის. ჯერ ფინალში გავიდეთ, მერე ალბათ ჩემპიონობაზეც გავიწევთ.

**ირაკლი პერტაია**

Euroleague

## ევროლიგა

დუბლიორები. ექვსთა ფინალი

# ცინცაძემ ჟალგირისი ჩაჭრა

ევროლიგის ოთხთა ფინალის სამასპინძლოდ გამზადებულ თელ ავივში დიდებთან ერთად პატარებიც შეყრილან, ოღონდ ოთხის ნაცვლად ახალგაზრდულ ტურნირში ექვსი გუნდი არკვევს ურთიერთობას. ევროლიგის ოთხთა ფინალის მონაწილეთაგან მხოლოდ იტალიურ „სკიპერს“ არ ჰყავს დუბლიორთა გუნდი, ხოლო ცსკა-ს, „მაკაბისა“ და „სიენასთან“ ერთად თელ ავივს სერბული „რეფლექსი“, ლიტვური „ჟალგირისი“ და იერუსალიმის „ჰაპოელიც“ ჩასულან.

6 გუნდი ორ ჯგუფშია განაწილებული და ერთი წრის შედეგით საუკეთესონი ფინალში ითამაშებენ ევროლიგის „დიდი“ ფინალის წინ.



გიორგი ცინცაძემ (მარჯვნივ) ლიტველებს არაერთი ბურთი ასწაპნა

გუშინ პირველი მატჩები გაიმართა და ჩვენც უპირველესად ცსკა-ში მოთამაშე ჩვენებურის გიორგი ცინცაძის ამბავი ვიკითხეთ. არმიელები კაუნასის „ჟალგირისს“ შეხვდნენ და 80:70 დაამარცხეს. გამარჯვებაში მოზრდილი წილი დაიდო ქართველმა გამთამაშებელმა, რომელმაც 37 წუთში 12 ქულა, 2 მოხსნა, 3 პასი და... 7 ჩაჭრა გააზერხა.

ებრაელმა ჟურნალისტებმა განსაკუთრებით ცინცაძის დაცვაში კარგი თამაში აღნიშნეს და მატჩის შემდეგ მას კომენტარიც სთხოვეს: „ჩემი აზრით, ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს. დღეს ყველაფერი კარგად აგვეწყო და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ. ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი გავმართეთ, დანარჩენი გუნდების შესახებ არაფერი ვიცი, ასე რომ, ცსკა-ს საჩემპიონო შანსებზე ვერაფერს მოგახსენებთ.“

ახალგაზრდა არმიელები დღეს იერუსალიმის „ჰაპოელს“ შეხვდებიან და მოგების შემთხვევაში ფინალში გავლენ.

**ირაკლი პერტაია**

## 2004 NBA Playoffs



კობი ბრაიანტმა „ჰიუსტონს“ გადამწყვეტი თამაში ლამის პირადად მოუგო

28 აპრილი

### დასავლეთი

### ლეიკერსი 4:1 ჰიუსტონი

**ლეიკერსი 97:78 ჰიუსტონი**

ლეიკერსი: პეიტონი (5), ბრაიანტი (31 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა), ჯორჯი (7), მელოუნი (18), ონილი (12); მედვედენკო (12), ფიშერი (6), რაში (2), ფოქსი (2), კუკი (2), უოლტონი, რასელი

ჰიუსტონი: ფრენსისი (16), მობლი (16), ჯ. ჯეკსონი (17), კატო (5ქულა, 12 მოხსნა), მინგი (10); ტეილორი (8), ნახბარი (2), პადჯეტი (2), მ. ჯეკსონი, ვაილქსი



# ორგანიზატორს ორგანიზატორთან ვერ უჩივლებ



## ზურაბ კიკნაველიძე:
## ლიცენზიის მფლობელი ყველა წონაში წინასწარაა ცნობილი

*გადაწყდა, საქართველოს მოკრივეთა ნაკრები ოლიმპიურ თამაშებზე ორი სპორტსმენით გამოვა. ყველა ცდა უშედეგოდ დასრულდა, ევროპის ჩემპიონატზე თავგამოჩენილ ნიკოლოზ იზორიასა და კონსტანტინე კუპატაძეს საათენოდ თუნდაც ერთი თანაგუნდელი დამატებოდათ. ამ ფაქტს რიგით წარუმატებლობად მივიჩნევდით, რომ არა ერთი უსიამოვნო პრეცედენტი. ბაქოში გუშინწინ დაწყებული ბოლო საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირი ექვსმოკრივიანმა ქართულმა დელეგაციამ გუშინ პროტესტის ნიშნად დატოვა და საქართველოში დაბრუნდა. თბილისისკენ მომავალ კრივის ფედერაციის გენერალურ მდივან ზურაბ კიკნაველიძეს ტელეფონით ვესაუბრეთ:*

— ტურნირს ბოიკოტი მას შემდეგ გამოვუცხადეთ, რაც საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ლიცენზიამდე ცოცხალი თავით არ მიგვიშვებდნენ. ბიჭებს რაც არ უნდა მოენდომებინათ, ფინალში არ გაუშვებდნენ.

**— ყველაზე მეტად ვინ დაჩაგრეს?**

— რინგზე მხოლოდ სამმა კაცმა მოასწრო ასვლა. ავთანდილ კაშია (60კგ) და მალხაზ ბერკაცაშვილი (69კგ) ისე დაჩაგრეს, ლამის გავგიჟდით. დავით წიკლაურმა პირველი ბრძოლა მაინც მოიგო, მაგრამ შემდეგ წრეში მასპინძელს ხვდებოდა და ჩხუბს აზრი არ ჰქონდა.

**— და რინგზე აღარ აუშვით?**

— აღარც წიკლაური ვაწვალეთ ტყუილად და არც დანარჩენი სამი მოკრივე. ლიცენზიების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

**— ობიექტური მსაჯობა რომ არ იქნებოდა, ჯერ კიდევ ბაქოში წასვლამდე ვარაუდობდით. იქნებ ჯობდა, პროტესტი ჩაუსვლელობით გამოგეცხადებინათ?**

— არაობიექტურობა ასეთ ტურნირებში ყოველთვისაა, მაგრამ ასეთი განუკითხაობა თუ იქნებოდა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით. შემიძლია, ახლავე დავასახელო ყველა წონა და ის ქვეყნები, კვირის ბოლოს ლიცენზიებს რომ აიღებენ.

**— პროტესტს საჩივარსაც ხომ არ მიაყოლებთ?**

— რა აზრი აქვს? ორგანიზატორებს ისევ ორგანიზატორებთან ვუჩივლოთ? მაინც ვერაფერს მივაღწევთ. ასეთი რამ ხდება და, სამწუხაროდ, მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელია.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## OPEN SEAT GODO
ბარსელონა. თიხნარი
საპრიზო 990 ათასი ევრო

### მეორე წრე

**კარლოს მოია** (2, ესპანეთი) — დანიელ ელსნერი (გერმანია) 6:4, 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (3, არგენტინა) — ტოდ მარტინი (აშშ) 6:2, 6:4; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (4, ჩილე) 6:3, 5:7, 6:2; **ფერნანდო გონსალესი** (5, ჩილე) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 7:6 (7:1), 6:0; **ოლივიე პასიანსი** (საფრანგეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (9, არგენტინა) 1:6, 6:4, 6:4; **ფელისიანო ლოპესი** (10, ესპანეთი) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:3, 2:67 6:4

შარშანდელმა ჩემპიონმა კარლოს მოიამ უსახელო გერმანელ კვალიფიკანტ ელსნერს სძლია და მესამე წრისკენ გაივაკა. მასთან ერთადაა მისმომდევნოდ განთესილი დავიდ ნალბანდიანიც, ვინაც პირველად ეპაექრა ჭარმაგ ამერიკელ ტოდ მარტინს და ამის ზორბა მოწოდების მიუხედავად იოლად აჯობა.

## BMW OPEN BY CREDIT SUISSE
მიუნხენი. თიხნარი
საპრიზო 375 ათასი ევრო

### მეორე წრე

**მარტინ ფერკერკი** (4, ჰოლანდია) — ბორის პაშანსკი (გერმანია) 7:6 (7:3), 7:6 (7:3); **ალექსანდრ ვასკე** (გერმანია) — ვინსენტ სპედია (5, აშშ) 3:6, 7:5, 7:6 (7:4)

მეხუთე ნომრად განთესილი ვინს სპედიას ძლევა 29 წლის გერმანელ ალექსანდ ვასკესთვის კარიერის უდიდესი წარმატება გამოდგა. შეგახსენებთ, რომ შარშან 18 საეტაპო მარცხის წილ ოდენ ორი გამარჯვების მომნაგვრელმა ამ კაცმა მიუნხენობის პირველ წრეში გორან ივანიშევიჩსაც მოუგო.

## J & S CUP
ვარშავა. თიხნარი
საპრიზო 585 ათასი $

### მეორე წრე

**ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — ფავიოლა სულუაგა (კოლუმბია) 4:6, 6:2, 6:0; **ანა სმაშნოვა-პისტოლეზი** (8, ისრაელი) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 6:4, 7:5

სლოვენებთან ნაფედთასარმა ვინუს უილიამსმა ვარშავაში გადაინაცვლა და იქ კინაღამ პირველსავე წრეში ჩაფლავდა. კოლუმბიელმა სულუაგამ მას პირველი სეტი მოუგო და მეორეშიც იმავის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ მამა რიჩის უფროსი გოგო უფრო მეტად ამოძრავდა და სადაც წასაგები ნაღდად არ იყო, ალარც წაუგია. შეგახსენებთ, რომ ვინუსი ვარშავობის შარშანდელი ფინალისტია — მან მაშინ ამელი მორესმოსთან დათმო.



„როცა ანდრე და შტეფი ცალ-ცალკე იყვნენ, უიმბლდონს ერთდროულად იგებდნენ

# შტეფი ქმარს ისევ უარობს

**ლეგენდარულმა** გერმანელმა მეჩოგნე შტეფი გრაფმა — უებრო არმენოამერიკელ ანდრე აგასის მეუღლემ და მათი ორი ბავშვის დედამ — როლანგაროსობაზე ქმართან ერთად წყვილოსნობა წელსაც იუარა. 34 წლის შტეფი, ვისაც 11 ივლისს სტეფან ედბერგსა და დოდო ჩეინისთან ერთად ჩოგბურთის დიდების დარბაზში ალაზევებენ, თქვა, რომ ჯადო ანდრესთან კორტზე შეწყვილებას არც ამ სეზონში აპირებს. მოგაგონებთ, რომ ჭორი მათი შესაძლო ერთობლივი გარჯის შესახებ შარშან აგორდა, თუმცა შტეფი მაშინ ფეხმძიმედ გახლდათ და ჩოგნაობაზე უარი სწორედ ამ გარემოებით ახსნა. წლეულს კი ის უბრალოდ ამბობს, რომ ჩოგნის ქნევის საშუალებას მას საოჯახო მოვალეობები არ აძლევენ.



## მსოფლიოს ჩემპიონატი
24 აპრილი - 9 მაისი. ჩეხეთი (პრაღა, ოსტრავა)

### A ჯგუფი

**ჩეხეთი 5:1 გერმანია**
*1:0 0:1 4:0*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 0 | 0 | 15:2 | 6 (4) |
| ლატვია | 1 | 1 | 1 | 5:5 | 3 (1) |
| გერმანია | 1 | 1 | 1 | 6:8 | 3 (1) |
| ყაზახეთი | 0 | 0 | 3 | 3:14 | 0 |

### B ჯგუფი

**რუსეთი 6:1 იაპონია**
*4:1 1:0 1:0*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 3 | 0 | 0 | 13:4 | 6 (4) |
| რუსეთი | 2 | 0 | 1 | 14:6 | 4 (2) |
| დანია | 1 | 0 | 2 | 7:14 | 2 (0) |
| იაპონია | 0 | 0 | 3 | 5:15 | 0 |

### C ჯგუფი

**სლოვაკეთი 5:2 ფინეთი**
*2:1 1:1 2:0*

**აშშ 7:1 უკრაინა**
*3:0 2:0 2:1*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 2 | 1 | 0 | 10:5 | 5 (3) |
| ფინეთი | 2 | 0 | 1 | 11:8 | 4 (2) |
| აშშ | 1 | 1 | 1 | 12:8 | 3 (1) |
| უკრაინა | 0 | 0 | 3 | 2:14 | 0 |

### D ჯგუფი

**კანადა 3:1 შვეიცარია**
*0:0 2:0 1:1*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 2 | 1 | 0 | 8:3 | 5 (3) |
| ავსტრია | 1 | 2 | 0 | 12:6 | 4 (2) |
| შვეიცარია | 1 | 1 | 1 | 11:7 | 3 (1) |
| საფრანგეთი | 0 | 0 | 3 | 0:15 | 0 |

*ფრჩხილებში მოცემულია ქულები, რომლებითაც გუნდები საკვალიფიკაციო ეტაპს დაიწყებენ*



# მიმიშვით ყინულზე
## ნუ გააბოროტებთ გაბორიკს

მარიან გაბორიკს პირდაპირ სწყურია ჰოკეის თამაში. „მინესოტას“ ფორვარდმა საკონტრაქტო პრობლემების გამო გამოტოვა სეზონის დასაწყისი, მერე მისი კლუბი პლეიოფში ვერ გავიდა და... აი, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოიოხა გული, დამშეულივით ეკვეთა მეტოქეებს. 22 წლის სლოვაკი დღითიდღე უმატებს და ოთხშაბათს ძალიან შეაწუხა ფინელი მცველები. ყინულზე კი არ დასრიალებდა, დაფრინავდა და, აბა, როგორ შეაჩერებდნენ. ამიტომაც მიიღეს 2 გოლი. ერთი შაიბაც მისი პასის შემდეგ გავიდა. გაბორიკს არც გუნდის კაპიტანი მიროსლავ შატანი ჩამორჩა ფრენაში და დუბლიც შეასრულა.

სწორედ ინდივიდუალური ოსტატობისა და გულშემატკივართა მხურვალე მხარდაჭერის წყალობით სძლიეს სლოვაკებმა მთავარ მეტოქეს და Ს ჯგუფში ალზევდნენ. შეგახსენებთ, რომ Ს და D ჯგუფებში თითოეულ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან აქედან სამ-სამი საუკეთესო გუნდი დაეჯახება ერთმანეთს მომდევნო ეტაპზე. შესაბამისად, 4 საპლეიოფო საგზურისთვის 5 ფავორიტი იბრძოლებს. ისე, აშშ-ს ნაკრებს უკრაინასთან რომ წაეგო, ჯგუფში ჩარჩებოდა, მაგრამ ამერიკელებმა გაანადგურეს მეტოქე და ყველას დაუმტკიცეს, შარშანდელი სამარცხვინო მე-13 ადგილი არ დაგვიწყებია, წლეულს სერიოზულად მივუდექით საქმესო.

რუსეთისა და იაპონიის თამაშმა მე-11 წუთზევე დაკარგა აზრი, როცა რუსებმა მე-4 უპასუხო შაიბა შეუგდეს მეტოქეს. მერე მატჩი ვარჯიშს დაემსგავსა. იაპონელებმა ხომ თავიანთი მთავარი მატჩი წინა დღეს დანიასთან 3:4 წააგეს, თან გადამწყვეტი გოლი მცველმა სუგისავამ გაიტანა საკუთარ კარში. ოთხშაბათს ამ კურიოზულ გოლს მთელი დღის განმავლობაში აჩვენებდა ადგილობრივი ტელევიზია.

კანადელებს ისევ უჭირთ გოლების გამოჭედვა, ისევ სამი შაიბა გაიტანეს, ოღონდ ამჯერად ოდნავ დალაგებულნი ჩანდნენ. ალარც ყინულს უჩიოდნენ. ჩეხებმა კი მხოლოდ ბოლო მესამედში გატეხეს გერმანია.

წინა მატჩში ჰეთ თრიქის ავტორმა მარტინ რუჩინსკიმ კვლავ 3 ქულა მიითვალა.

ასე დასრულდა პირველი ეტაპი, რომელმაც ლაღი თამაშით ფრიად ასიამოვნა მაყურებელი. ყველა ძლიერ გუნდებში ნჰლელები გამოირჩევიან, ვარსკვლავები კაშკაშებენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქმეს ყველა სერიოზულად უდგება და მოდუნების უფლებას თავს არავინ მისცემს. ძლიერი ჯახები ხომ წინ არის.

ქომაგობაზეც უნდა ვთქვათ — წლეულს სარეკორდო დასწრებაა. პირთამდე ივსება პრაღის უზარმაზარი და ახალთახალი სტადიონი „შაჟკა არენა“. გერმანიასთან თამაშს 17 360 ადამიანი დაესწრო, თუმც არც სხვა შეხვედრებზეა დიდი სიხალვათე. მაგალითად, კანადა—შვეიცარიას 14 892 მაყურებელი ადევნებდა თვალს და ეს მაშინ, როცა ჩეხეთში ამ ქვეყნების ქომაგთა სიმრავლე სულაც არ შეიმჩნევა. ყველაფერ ამას ბილეთების ხელმისაწვდომი ფასიც უწყობს ხელს (6-18 დოლარი), თუმც გადამწყვეტ მატჩებზე ფასები 10-ჯერ გაიზრდება. აი, ფინალის ბილეთებს კი გადამყიდველები უკვე 700-900 დოლარად ყიდიან.

NHL — პლეი ოფი. მეორე წრე

# საკიკმა საკითხი ღიად დატოვა

— 28 აპრილი —

### აღმოსავლეთი
**ტორონტო 1:2 ფილადელფია**

**ტორონტო 4:1 ფილადელფია**
*0:0 3:1 1:0*

1:0 მოგილნი (26), 2:0 პონიკაროვსკი (27), 3:0 კილგერი (36), 3:1 ამონტე (39), 4:1 ტაკერი (52)

„ტორონტოს“ ნაადრევად ნუ ჩამოვწერთ, ხომ ხედავთ, გაიბრძოლა. „ნეკერჩხლის ფოთლები“ სტუმრად ორჯერ კი დამარცხდნენ, მაგრამ ოთხშაბათს დაამტკიცეს, რომ სერიას უბრძოლველად არ დათმობენ. ტორონტოელებმა ორი დღე დაისვენეს, თან ტრავმამოშუშებული ლიდერი მათს სუნდინიც დაუბრუნდათ.

თავიდან სტუმრები აქტიურობდნენ, მაგრამ მეორე პერიოდში უკვე „ტორონტო“ გაბატონდა და ამჯერად ნაყოფიც მოიმკო. მასპინძლებმა გონივრულად გამოიყენეს უპირატესობა, რასაც საფუძველი სუნდინმა ჩაუყარა. მისი დიდებული პასის შემდეგ ალექსანდრ მოგილნი მეკარესთან პირისპირ გავიდა და იოლად გაიტანა. მერე ტორონტოელებმა მეტოქის ორი შეცდომა გამოიყენეს და საქმეც თითქმის მოამთავრეს. სტუმრებმა ერთი გოლი კი გაქვითეს, მაგრამ ბოლო მესამედში უაზრო ჯარიმებით გაირთულეს ვითარება — დარსი ტაკერმა ორკაციან უმრავლესობაში გაუტანათ და საბოლოოდ გადაწყდა მატჩის ბედი.

### დასავლეთი
**კოლორადო 1:3 სან ხოსე**

**კოლორადო 1:0 სან ხოსე**
*0:0 0:0 0:0 1:0*

1:0 საკიკი (66)

„კოლორადოს“ კაპიტანმა ჯო საკიკმა თავისი გუნდი დიდი სირცხვილისგან იხსნა და ქომაგებს იმედი დაუბრუნა. მხოლოდ ოვერტაიმში შეძლეს დენვერელებმა ნავსის გატეხვა და სერიაში პირველად იმარჯვეს. ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი მაშინ გავიდა, როცა სტუმრები შეცდნენ და შაიბა საკიკს მიუვიდა. მან თავისი საფირმო დარტყმით დალაშქრა ევგენი ნაბოკოვის კარი, რომელიც 178 წუთის განმავლობაში ხელშეუხებელი იყო.

ასე გადაურჩა „კოლორადო“ სერიაში 0:4 განადგურებას, თუმც... არ არის გამორიცხული, მორიგ მატჩში, რომელიც სან ხოსეში შედგება, ყველაფერი დასრულდეს.

„ჩვენ მაინც გვჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან გოლს გავიტანდით და რა სასიამოვნოა, რომ იგი გადამწყვეტი აღმოჩნდა“ — თქვა კოლორადოელმა ტეემუ სელიანემ მატჩის შემდეგ.

**სამველ ღარიბიანი**



REUTERS

ტორონტოელ ალექსანდრ მოგილნის „ფილადელფიის“ კარში პირველი გოლი გააქვს

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# სისხლი და ქვიშა



REUTERS ესპანეთიდან

ეს არის მაესტრანსას
წრე სევილიაში.
ეს ყველაფერი
ძალიან ლამაზი,
მიმზიდველი და სახიფათოა.
მატადორი ხულიან ლოპესი,
მეტსახელად „ელ ხული“,
ადგილს ეჩვევა და უშინაურდება.

# ახალბედა ყმაწვილებთან

ენბიეის წლის ახალგაზრდა ლებრონ ჯეიმსი განთქმულ ამერიკულ საყმაწვილო პროგრამაში, „ტრიპლ ფლეიში“ ჩაბმულა. ეს პროგრამა პირველი დიდი პროგრამაა, მოზარდთა ჯანსაღი ცხოვრების საბოლოო დამკვიდრება რომ აქვს მიზნად.




REUTERS ნიუ-იორკიდან

# სტამბოლის სიმულატორი

ასე ამბობენ, რომ გაისიდან სტამბოლში ფორმულა ერთის თურქეთის დიდ პრიზს ჩაეყრება საფუძველი. ამ ამბის მხარდასაჭერად ჩასულა მეფორმულე მარკ ვებერი ამ ქალაქში და საბანჩის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად ბოლიდის სიმულატორით „ურბოლია“.




REUTERS სტამბოლიდან




REUTERS ბუენოს-აირესიდან

# დიეგოს მხარდასაჭერად

კვლავ ხალხმრავლობაა იმ კლინიკის წინ, სადაც სიცოცხლეს უბრუნდება დიეგო მარადონა. ფეხბურთელმა ათ დღეში პირველად ამოიღო ხმა და კლინიკის კართან შეკრებილ ხალხს მადლობა და სიყვარული შემოუთვალა. მაგან „ბოკას“ ფანს კი, ღმერთი შენთან არის, დიადოო, ვარსკვლავის საქომაგოდ თავისი ძაღლი ნიკო მოუყვანია. დიეგო იდღეგრძელეო, ესეც წერია დაფაზე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge